



ილორი



№ 24 (93) 21 ივლისი 2009 სანსალსო მთქრატობა "სამეგრელოს" ტრგანო 50 მქმტრო

რედაქტორის გვერდი 2
ჯარ კიდევ არსებობს იმის შანსი, რომ რუსეთმა საბოლოოდ არ დაჰკარგოს საქართველო!..

აეროპორტებსა და პორტებში მოტაშფანდურენი!



დავით ქობალია 3


გიორგი ცაავა: სწრაფად მოვიშორეთ სხვა ქვეყანაზე სულმიყიდული შინაური მტრები – გადავირჩინეთ თავი და გადავარჩინეთ საქართველო! 7



ამის დაკარგვის, ან დაზიფყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს! 6

ნაწყვებები ვ-ველიკოს წიგნიდან "გაშჰასია"

ლავრენტი 4 ბერია — ქართული გენია



გაზეთი "ილორი" აბრელებს წერილების ციკლის გეჰვას, ამჟერალ შვეე მსოფლიოს უღიფუს 12 ფეხბურთელებზე

ფერენც პუშკაში

სააკაშვილის პრეზიდენტობიდან წასულა სომხური ლობისთვის დიდი ტრაგედია იქნება



8 ალექსანდრე ჭაჭია

– ობამა არასოდეს იტყვის, რომ მხარს არ უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას...



კორნელი ბორძღინი
სამეგრელო და სვანეთი 1854-1861
9

ვალტერ შურღია: 10
„მხედრიონელთა“ ომის გეტერანებთან გაიგივება და მათთვის პენსიების დანიშვნა დანაშაულია!

ჯერ კიდევ არსებობს იმის შანსი, რომ რუსეთმა საბოლოოდ არ დაჰკარგოს საქართველო!..

საბედნიეროდ, მართლაც არსებობს ამგვარი შანსი, მაგრამ მის ხორცშესხმას ორივე მხარის დიდი ძალისხმევა, მონღოლური და პოლიტიკური პოზიციების დაახლოება სჭირდება!

მაგრამ, როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, როცა რუსეთის ხელისუფლება დიდად აცხადებს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკურ ლეშად (რას შიშით მათ ჩვენც ვეთანხმებით) და უარს ამბობს მასთან ყოველგვარი პოლიტიკური დიალოგის წარმოებაზე? სააკაშვილი კი ჯიუტობს, და მიუხედავად ქართველი ხალხის მრისხანე პროტესტისა, მაინც არ აპირებს გადადგომას?

ამ შემთხვევაში ხომ კლასიკურ პოლიტიკურ ნიხთან გვაქვს საქმე?

გამოსავალი მხოლოდ ერთია – რუსეთის ხელისუფლება უნდა დაელოდოს პარაკოს ქართველ ხალხს და არა მიხეილ სააკაშვილს, რომელთან საუბარი უკვე ქართველ ერსაც კი აღარ სურს! და რაც მთავარია, უნდა მოხდეს პოზიციების დაახლოება ქართველ და რუს ხალხს შორის, რომელიც გარკვეული ურთიერთდათმობების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. ჯერჯერობით კი გაგვანია ფრიად არასახარბიელო სურათი – ორივე ქვეყნის სახელისუფლებო თუ არასამთავრობო სტრუქტურები ყველა სასიკვდილო ცოდვაში ადანაშაულებენ ერთმანეთს, რაც არამც თუ აახლოებს ერებს, არამედ კიდევ უფრო აშორებს მათ ერთმანეთს.

გასაკვირია, რომ წყნის დაოქცევა იოლი საქმე არ გახლავთ და ერთად ყოფნის წარსული პერიოდის მანძილზე გარკვეული არაკეთილსინდისიერი სახელმწიფო თუ პოლიტიკური მოღვაწეების მტრული ქმედებების შედეგად ქართველებმა და რუსებმა არაერთი წყენა მივაყენეთ ერთმანეთს. მაგრამ, ნუთუ იმდენად გაგვაბოროტა დემერტა, რომ მიტევების უნარი სასველად დაგვაკარგინა? რა შუაში ვარ მე, ერთი რიგითი ქართველი, თუ შეგარდნაძემ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა საბჭოთა კავშირს, ან თუ სააკაშვილმა შეურაცხყო პუტინი არაკორექტული, სახელმწიფოს მეთაურისათვის აშკარად შეუფერებელი გამოთქმებითა და საქციელით? ან რა შუაშია ერთი უბრალო რიგითი რუსი, თუ როდისნოვა და შევარდნაძემ ერთობლივი ქმედებით დაარბიეს მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, რასაც მსხვერპლი მოჰყვა, ან თუ, რომელიმე ტვიგადადღესილმა რუსმა გენერალმა არაადექტურად უპასუხა ქართულ სამხედრო პროვოკაციას სამანაბლოში საომარი ქმედებებისას?

რატომ უნდა დაისაჯონ და გულნატკენები დარჩნენ ის უბრალო რუსი და ქართველი მოქალაქეები, რომელთაც ერთმანეთი არ ეთმობათ, მაგრამ ერთმანეთთან კონტაქტს ერიდებიან იმ უბრალო მიზეზით, რომ მათ **“კრემლის”** ან **“საქართველოს”** აგენტები არ უწოდონ!

ამაზე მეტი აბსურდი ვინმეს სადმე გინახავთ?

როგორც კი ურთიერთწაკიდებით გამოწვეული ტკივილი მიგვიყუნდება და ამ ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობის შანსი გაჩნდება, მაშინვე გამოხტება ხოლმე რომელიმე არამკითხველ პოლიტიკოსი ან სტრუქტურა, წამიერად დაძაბავს თვეობით და წლობით ნალოღიავებს დამშვიდებულ სიტუაციას და, უკვე მერამდენედ, თავიდან ეხიდებიან პოლიტიკის მწვერვალზე **“სიზიფეს ლოდს”** ქართველები და რუსები.

ჩვენც რომ დავივალთ და თავი ვანებოთ ამ ავადსახსენებელი პოლიტიკური **“სიზიფეს ლოდის”** ზიდვას, მერე რა ვქნათ: დავრჩეთ ერთმანეთის მტრებად? ვის აძლევს ხელს ამგვარი სიტუაცია? რუსს?

არა მგონია! ქართველს?

არა მგონია!

ესე იგი, არსებობს მესამე ძალა, რომელსაც ხელს არ აძლევს ქართველებსა და რუსებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება და წარმატებით უახლოვდება საკუთარ მიზანს – სამუდამოდ დაშოროს ერთმანეთს ეს ორი ერი. ჩვენ კი, თუ, თუ ეს მესამე ძალა ვერ გამოეთვალეთ და ხელი არ შეუშალეთ, გამოდის, რომ საკმაოდ გონებანღუნებელი ვყოფილვართ! დიდ ბოდიშს მოვუხდით ქართველებსაც და რუსებსაც, მაგრამ სხვა შეფასებას მე ვერ გავაკეთებ.

ერთი წელი გავიდა სამანაბლოში ავადსახსენებელი ომის შემდეგ, თითქოს მინელდა ამ ტრაგედიით მოყენებულ გულსტკივილი, მაგრამ უცებ იქუხა მოწმენდილ ცაზე – გამოქვეყნდა რუსეთის გენერალური პროკურატურის დასკვნა იმის თაობაზე, რომ სამანაბლოში საქართველოს საომარი ქმედებები იყო ოსი ხალხის გენოციდი და სხვა არაფერი! ასე გვინდა ქართველი და რუსი ხალხების ურთიერთდაახლოება?

როგორ დავიჯერო, რომ რუსეთის გენერალური პროკურატურაში არ იციან, თუ რას ნიშნავს სიტყვა **“გენოციდი”**. თუ არ იციან, შევეცდებით ავუხსნათ.

“გენოციდი” ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მოსახლეობის ცალკეული ჯგუფის გაუღებლად რასობრივი და ეროვნული ან რელიგიური მოტივებით, რაც ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად ითვლება კაცობრიობის წინაშე. საქართველოს ხელისუფლებას თავისი პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული სისულელები და ცოდვებიც ეყოფა და ისეთი აბსურდული ბრალდება არ უნდა წაუყენოთ, რომელიც მსოფლიო საზოგადოების თვალში მათ წინააღმდეგ ოფიციალურად წამოყენებულ ობიექტურ ბრალდებებსაც კი ტენდენციურად ჩათვლის და გააბათილებს.

ამასთან დაკავშირებით ერთი ანეკდოტი უნდა მოვიშველიო. სომეხმა თურმე ქართველობა მოისურვა, ეროვნება შეიცვალა და გვარად **“ქართველიშვილიძე”** გახდა. რატომ აირჩიე გვარის ორი დაბოლოება? – ჰკითხეს მას.

– **“მე”-ზე და “შვილ”-ზე** მხოლოდ ქართული გვარები ბოლოვდება და ასე უფრო დამიჯერებენ, რომ ქართველი ვარო! – უპასუხა თურმე სომეხმა.

რუსეთის გენერალური პროკურატურასაც ასე დაემართა – იმდენად დიდი იყო საქართველოს ხელისუფლების დადანაშაულებისა და მიწაში დრმად ჩამარხვის სურვილი, რომ, იმ კახელისა არ იყოს, **“დაუკრეფავში”** გადავიდნენ. იმას კი არ გაუწიეს ანგარიში, რომ გენოციდის ჩატარება, როგორც წესი, ბრალდება არა მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებას, არამედ მთელ ერს (როგორც ეს მოხდა თურქეთში, გერმანიაში, იუგოსლავიაში...). თავად რუსები ამგვარ ფაქტზე ამბობენ: **“перегнули палку”** და თუ რატომ **“перегнули”**, ამის თაობაზე ახლავე მოგახსენებთ.

გენოციდად შეიძლება სუთი ადამიანის დაღუპვაც კი ჩაითვალოს, თუ მათ სიცოცხლეს მხოლოდ ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე მოუსობენ. რომელ **“ოსების გენოციდზე”** შეიძლება საუბარი იმ საქართველოში, რომლის ე.წ. **“ოსეთის ავტონომიაში”** მხოლოდ 20.000 ოსი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, დანარჩენ საქართველოში კი ასე ათასზე მეტი ოსი უზრუნველად ცხოვრობს და ისინი არასდროს არავის შეუწუხებია მათი ოსობის მომიზეზებით. ისიც ფაქტია, რომ 2008 წლის აგვისტოს საომარ მოვლენებში ქართული ჯარის მხარეს უამრავი ოსი ეროვნების საქართველოს მოქალაქე იბრძოდა, და რაც მთავარია, ამ ომში საქართველომ დაჰკარგა ორჯერ მეტი რაოდენობის მშვიდობიანი მოქალაქე (300-ზე მეტი), ვიდრე საქართველოდან ჩამოცილებულმა სეპარატისტმა ოსებმა

(160 ადამიანი). მაგრამ, ნუ შევაწუხებთ ომში დაღუპულთა სულებს (დემერტა ნათელში ამყოფოს!), რადგან ისინი ორივე მხარის გაუწონასწორებელ პოლიტიკოსთა ბოროტ ამბიციებს შეეწირენ. ასე რომ, ამ მართლაც უაზრო ომში დაღუპულ მშვიდობიან მოსახლეობას არც ერთი ნორმალურად მოაზროვნე პოლიტიკოსი არ ჩათვლის გენოციდის მსხვერპლად, მით უმეტეს მაშინ, როცა **“გენოციდის მომწიფებმა”** ქართველებმა ბევრად მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაჰკარგეს, ვიდრე **“გენოციდის მსხვერპლმა”** ოსებმა. რუსეთის გენერალური პროკურატურის ამგვარი **“კომპეტენტური”** შეფასება კვლავ რუსული ფრანზით უნდა შევაფასო – **“ври, но в меру...”**

უბრალოდ, კიდევ ერთხელ დაგვხვდეთ შეკითხვა ამ უსაფუძვლო ბრალდების ავტორებსაც და საკუთარ თავსაც – რას სიკეთე შეიძლება მოუტანოს ქართველი და რუსი ხალხების ურთიერთობას ამგვარმა გაუაზრებელმა და დაუსაბუთებელმა, და ზოგიერთი პოლიტიკოსის ჭირვეულობის გამო, თითქმის გამოწვევებმა, ნაცოდვილარმა ბრალდებებმა. როგორ დავიჯერო, რომ ისეთმა სოლიდურმა დაწესებულებამ, როგორც რუსეთის გენერალური პროკურატურა, 300-ზე მეტი ტომი მიუძღვნა ამ საქმის გამოძიებას იმიტომ, რომ ასეთი არაკომპეტენტური, აბსურდული, ლამის სულელური დასკვნა გაეკეთებინა? როგორ შეიძლება ხალხმა ირწმუნოს იმ დასკვნისა, რომლისაც თავად დასკვნის ავტორებს არ სჯერათ?

ვის ინტერესში შედის ყოველივე ეს? არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ შედის ქართველი და რუსი ხალხის ინტერესებში!

თუ რამ სიკეთეზე შეიძლება საუბარი, რახან ამ ორი ქვეყნის ხელისუფლება ერთმანეთს **“ემდურის”**, სასურველია, რომ სახელმწიფოთაშორის დიალოგს წარუძღვნენ რუსული და ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, მეცნიერები, სპეციალისტები, ადამიანები, რომელთაც ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნიათ და ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მეგობრულ ურთიერთობებს. თორემ, მალე ორივე ქვეყანაში ერთმანეთს გაუცხოებელი თაობა მოვა და მერე გინდათ რუსებსა და ქართველებს უსაუბროთ ერთმანეთში და გინდათ ავსტრალიელ აბორიგენებს და კანადელ ინდიელებს...

საუბარს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ადამიანებს ერთმანეთისა გულით ესმით და არა მხოლოდ ყურით...

მე უკვე ვწერდი ამას **“ილორის”** ამასწინანდელ ნომერში, თუ როგორ გაიცნეს ერთმანეთი ბაქოში გამართული წყაღბურთელთა შეჯიბრების დროს, თბილისის ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტმა, ჩემმა ცხრამეტე წლის შვილისშვილმა (რომელმაც, ჩემდა სამარცხვინოდ და სამწუხაროდ, რუსული ენა არ იცის) და მისმა მოსკოველმა თანატოლმა. მათი მეგობრობა დღესაც გრძელდება, მაგრამ ინტერნეტის მეშვეობით. როცა გაცემულმა კითხვებზე შენ რუსული არ იცი და რა ენაზე ესაუბრებით ერთმანეთს-მეთქი, არანაკლები გაცემით მომიგო:

– მერე რა, რომ რუსული არ ვიცი, ჩვენ ინგლისურ ენაზე ვსაუბრობთ!

ძალიან დამწყდა გული, მაგრამ საყვედური ვერ ვუთხარი, რადგან აქეთ დამადანაშაულებდა – გესწავლებინა რუსული ენა და ვისწავლიდი. მართლაც იქნება (მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ ისე წაიყვანა საქმე, რომ რუსული ენა გინდა გცოდნია და გინდა არა – მაინც ვერაფერში გამოიყენებ, რუსებთან ურთიერთობა კი იმის საშიშროებას არ გამოირიცხავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს **“კრემლის აგენტის”** იარღივი მოგაკერონ) – ისიც ფაქტია, რომ ქართველი და რუსი ერების ურთიერთ-გაუცხოებაში ჩემი თაობის ადამიანების

წვლილიც ძვეს, რადგან თავის დროზე არ დაეარისხეთ განგაშის ზარები. არ ავტყებთ ხმაური იმის თაობაზე, რომ ასე ხელაღებით არ შეიძლება რუსი ერისა და რუსეთის სახელმწიფოს სახით იმ თანამდგომის დაკარგვა, რომელმაც გაქცია ერთ-ერთ ძლიერ ინდუსტრიულ ცენტრად, ძნელბედობის ეპოს გაგიმთლიანა სამშობლო, შეგინარჩუნა კულტურა, **“ენა, მამული და სარწმუნეობა...”** რაც შეეხება ჩემს შვილისშვილს, მასზე გული მხოლოდ იმიტომ კი არ მწყდება, რომ რუსული ენა არ იცის, არამედ იმაზე, რომ დედანში ვერ წაიკითხავს პუშკინს, გოგოლს, ჩეხოვს, ტოლსტოის, დოსტოევსკის...

შეიძლება ამ ავტორთა ნაწარმოებები წაიკითხოთ ინგლისურ ენაზე, მაგრამ მაშინ რუსულ ფენომენალურ უბრალოებას, რუსულ სიკეთეს, რუსულ ვაჟაკობას ვერ ნახვდება, რადგან თარგმანი ვერასოდეს სრულფასოვნად ვერ გაიყოლებს დედის სულისკვეთებას.

მალე, ასევე არაფერი ეცოდინება რუს ყმაწვილს ქართულ უბრალოებაზე, ქართულ სიკეთესა და ქართულ ვაჟაკობაზე (აღარაფერს ვამბობს ქართულ ღვინოსა და **“ზორჯომზე”**, რაც, ჩემის დრმა რწმენით, მავანთა ასევე გაუაზრებელ პოლიტიკურ კაპრიზებს ემსხვერპლა).

ეს უკვე გაუცხოებაა, რაც არც ერთ მხარეს არ მოუტანს სიკეთეს!

ყველაფერზე ვისაუბრე, მაგრამ, ის მაინც ვერ დავადგინე, თუ ვის აძლევს ხელს ქართველი და რუსი ხალხის ამგვარი ურთიერთგაუცხოება.

იქნებ ჩვენმა რუსმა მეგობრებმა და კოლეგებმა გაგვცვენ ამ საკრამენტალურ შეკითხვაზე პასუხი (მაგრამ არა რუსეთის გენერალური პროკურატურის მეშვეობით, რომელმაც ძლიერ მინავლულ პოლიტიკურ კოცონს კვლავ ნაეთი გადაასხა).

ყველამ, ქართველმაც და რუსმაც, დიდ-მაც და პატარამაც უნდა ვიცოდეთ, რომ მიუხედავად ხელისუფალთა შორის არსებული სერიოზული განხეთქილებისა, ჯერ კიდევ არსებობს იმის შანსი, რომ რუსეთმა და საქართველომ საბოლოოდ არ აქციონ ზურგი ერთმანეთს!..

სწორედ ამიტომ, ჩვენ ახლა მხოლოდ ამ ხალხების დაახლოებაზე ზრუნვა გვმართებს და არა უსაფუძვლო ბრალდებების ერთმანეთისადმი წაყენება, რაც კიდევ უფრო აღრმავებს უფსკრულს ორ ისტორიულად მომე ერს შორის!

ჩვენ, რუსებიცა და ქართველებიც ბრძენი ერი ვართ და ისეთი რამ არ უნდა გავაკეთოთ, რომ მტერი ჩვენზე ვაცინოთ და ვახარხარეთ ჩვენი მტრები და ავისმსურველები გაერთოს სხდომებზე თუ ვეროკავშირის ბიუროებზე ერთმანეთისადმი უაზრო დაპირისპირებითა და ლაფის შესხმით?

იქნებ, კმარა ერთმანეთისათვის ქვების დაშენა, რომელიც არც რიგით რუსს მოსწონს და არც რიგით ქართველს?

ან იქნებ ის ამისხნას ვინმემ, თუ როდის და რის გამო გავხდით ერთმანეთისათვის დაუძინებელი მტრები? ნუთუ მხოლოდ ხელისუფალთა ნებამ უნდა გადაწყვიტოს როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან მრავალმილიონიან სახელმწიფოებს?

და თუ ეს ასეა, მაშინ დროს ნუღარ დაგვარგავთ ხალხის ნების უზუნაწესობასა და დემოკრატიაზე ლაყობით! მაშინ, დაველოდოთ, თუ როდის ინებებს უფალი, რომ მოგვივლინოს ბრძენი და კაცობიერად მმართველები, რადგან მიზანთროპებით და პოლიტიკური კაცუნებით (ფიზიკურ მონაცემებს მნიშვნელობა არა აქვს) შორს ვერ წავალთ!

აეროპორტებსა და პორტებში მოტაშფანდურენი!

(ანუ როგორ უფრო ხილდება ქართული ფოლკლორის სახელს, ქვეყნის, საეჭვო განათლების და გემოვნების მთავრობა და მისი კულტურის სამინისტრო)



2009 წლის 11 ივლისს დილას, ტელეარხი „რუსთავი-2“ სიამაყით იუწყებოდა კომფორტაბელური სა-მოგზაურო გემით 450 ამერიკელი ტურისტის ჩამოსვლას ბათუმის პორტში. როგორც ტურისტების „სტაჟიანი“ თანამშრომელს, განსაკუთრებით გამიხარდა უცხოელი ტურისტების ასე მრავლად გამოჩენა და ამ სასიამოვნო ანონის შემდეგ მოკლე სიუჟეტსაც დაეკუთვნა. ცხადია ამ პაპანაქებაში სმოკინგებში გამოყოფილ სტუმრებს არ ვვლით ბათუმის პორტში, მაგრამ სტუმრად მომდგარი გემის წინ დატრიალებულმა ტაშფანდურამ კი ნამდვილად გაბაოგნა და უნებურად „სლომონ ისაკიან მეჯღანუაშვილი“ და მისი ოჯახი წარმომიდგა თვალწინ, მდიდრულად ჩაცმულები, ქართული ნაღები საზოგადოების წიაღში თვალმარვალივით რომ იწონებდნენ თავს და სპექტაკლის ყურებისას უადგილო ადგილას ტაშს რომ შემოჰკარგდნენ და „ბრაუოს“ გაიძახოდნენ... მეც იმ „მეჯღანუაშვილების“ შემყურე გაონებულნი მაყურებელივით სირცხვილით ვიწვიდი ამ დილას, ბათუმის პორტში გამართულ სანახაობას, უფრო სწორედ სერის რომ ვუყურებდი..

თვალწინ წარმომიდგა იმ უცხოელების გაკეთება და ირონია, რომელსაც მათში ეს მოულოდნელი სცენა გამოიწვევდა, მის ორგანიზატორებს სტუმრის „გადსასრევ“ სიურპრიზად რომ მიანიათ.

მე წლების განმავლობაში ვმუშაობდი ინტურისტისა და ტურისტის სისტემაში. უამრავი უცხოელი თუ ადგილობრივი ტურისტი მიტარებია უცხოეთსა და საქართველოს ყველა კუთხეში. თვითმფრინავით, გემით, მატარებლით, ავტობუსებით, საკუთარი მანქანებით და თუ გნებავთ ფეხით მოსიარულე უცხოელებიც მიგვიღია, მაგრამ ახრადაც არავის მოსვლია არასოდეს ქართული ფოლკლორის ისე დაკინება, როგორც ამას დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო, თუ კერძო სტრუქტურების მესვეურები აკეთებენ. თვით „საბაგელი საბჭოთა კავშირის ჩინოვნიკებიც“ კი უფრო ხილდებოდნენ პატარა ერების, ამ შემთხვევაში ქართულ ეროვნულ სიამაყეს – მის ფოლკლორს და იგი ქართულ პორტებს მომდგარი სამხედრო და იაფფასიანი ტურისტული გემების წინაშე არასოდეს გამოუყვანიათ! შესაფერის ადგილას კი გაგონებია, ქართული ფოლკლორით თავსაც იწონებდნენ და გამომდინარე აქედან – უცხოეთში ყველას რუსებად გვახადებდნენ..

ხალხურ ფოლკლორს, ჩვენს წინაპრებს საუკუნეების მანძილზე ჭირსა და ფხინში რომ გამოუტარებიათ, ღვაქიხად მოაქრობა და განსაკუთრებულად გაფრთხილება სჭირდება! სიმღერის ან ცეკვის კარგად შეს-

რულება არ არის ამისათვის საკმარისი, აქ უმთავრესი ადგილი იმას უნდა დაეთმოს, სად და როდის იმღერებ, ან იცეკვებ და არა ისე, როგორც ამას საქართველოს ხელისუფლება ეპყრობა – საქმარისია რომელიმე უცხოელმა ან უცხოელების ჯგუფმა გაიტაცა ანუ აეროპორტის, ან რომელიმე საზღვაო პორტის (სამწუხაროდ ისინი ბევრი არ შემოგვრჩა საქართველოში და ასე თუ გაგრძელდა მალე თურქეთის პორტებში მოგვიწევს ჩვენი მოცეკვავეების და მომღერლების მივლინება!) ტერიტორიაზე. იქვე ჩასაფრებული პეაგოგო, უმეტესწილად გაუპარსავი, გაბურძვნილი და აშკარად მღარე გემოვნების უცხოელი ტურისტებისათვის, პაპანაქება სიცხეში, ქართულ კლასიკურ კაბებსა და ჩოხებში ნაცმული ტანკენარი გოგონები და აშოლტილი ბიჭები. პორტში მომდგარი გემიდან გადმოსული, ნახევრადშეშველი და ასევე ნახევრადგაღუნებული სახეები გონზე მოსვლას ვერ ასწრებენ, რომ მათ წინაშე ტაშფანდური და კოჭებადმე კაბამოსილი, ჩოხა-ახალუხში, წელზე ხანჯალ შემორტყმული გოგო-ბიჭების ცეკვა-ქროლვა იმართება... ცხადია ამის შემყურე, ისედაც სანახევროდ ვგნებდ-აბინდული სტუმარი (დიდი ფული და შორეთიდან, თუნდაც ამერიკიდან, ძვირადღირებული გემით საქართველოს პორტში ჩამოსვლა, სულაც არ ნიშნავს ჩამოსვლილ სტუმრის მაღალ ინტელექტს!) მართლაც გასტუმრებული იყურება და თუ იმდენს მიხვდა სურათსაც კი გადაუღებს მისთვის „პორტში მომხდარს“ და არა ფოლკლორულ სანახაობას, რომელსაც უცხო სტუმრის საგანგებოდ შემხადება და ასევე საგანგებოდ ვარემოჭირდება და არა ისე, როგორც ამას ამ ღონისძიებების უგემოვნო ორგანიზატორები წარმოგვიდგენენ!..

ანაზღად, სუბიშვილების ანსამბლის კურიოზული ისტორია მახსენდება, თუ არ ვცდები აფრიკაში – ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში, ქამარ-ხანჯლებში გამოწყობილ ჩვენს მოცეკვავეებს ადგილობრივი, ნახევრად ველური ტომის ბელადი და მისი შეიარაღებული რაზმი დახვდა თვითმფრინავის ტრაპზე და კინადამ ომი გაიმართა მათ შორის, რადგან მასპინძლებს ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში, ქამარ-ხანჯლასხმული ქართველი მოცეკვავეები შეიარაღებული მომხედურები ვგონათ!..

სომ არ გგონიათ დიდი განსხვავებაა (კარგად მიმისინეთ მე სულ სხვა რამეს ვგულისხმობ), იმ ველურ ტომებსა და საქართველოში ჩამოსვლელ, თუნდაც იმდიდანდელ ამერიკელ ტურისტებს შორის?.. უმრავლეს შემთხვევაში ტურისტული გემით საქართველოში ჩამოსვლებს ისეთივე წარმოდგენა აქვთ საქართველოზე, როგორც ათეული წლების წინ თვითმფრინავის ტრაპზე შენახვედრ ნახვერად ველურ აფრიკელ ტომებს!.. უტყუარია მათ შორის თითოთროლა განათლებულიც იქნება, რომელიც წინასწარ წაითხიხვდა საქართველოზე იმ მწირ ინფორმაციას, რაც უცხოეთშია გატანილი და უკან, სამშობლოში დაბრუნებული ღუდის, ან გნებათვისკის დაღვეისას თანამე-

სუფრებს მოუყვება კიდევ – „საქართველოში, შენ წარმოიდგინე, უმრავლესობას ევროპული ტანსაცმელი აცვია, მაგრამ აეროპორტებსა და პორტებში შუასაუკუნეების ტანსაცმელში გამოწყობილები ცეკვავენო!“

უამრავ უცხოელს შეხვედრი-ვარ თვითმფრინავებში თუ მატარებლებში, ოფიციალურ, თუ მეგობრულ შეხვედრებზე, აუდიტორიებსა თუ რესტორნებში საქართველო რომ მოუვლიათ, დაწვევლილი კომუნისტების დროიდან მოყოლებული... უნდა ვთქვა, მათში აღფრთოვანებულიც მინახავს და გაოგნებულიც (სამწუხაროდ, გაცილებით მეტი), რომლებსაც ვერ გავივით რა უნდოდათ ქართველებს მათთვის ეთქვათ ზომასგადაცილებული მასპინძლობით და თქვენ წარმოიდგინეთ, რას მოყვებიან ისინი პაპანაქება სიცხეში პორტებში, უღრან ტყეში თუ, თუნდაც თვითმფრინავის ტრაპზე მოტაშფანდურებზე!..

ცხადია ამ საქმის ქართველ ორგანიზატორებს სახარების ცოდნას ვერ მოვთხოვთ, თორემ მათ უნდა სმენოდათ რას გვასწავლის ეს ბრძენთა წოგნი: „ნუ მისცემთ წმიდას ძაღლებს და ნურც თქვენს მარგალიტებს დაუყრით წინ ღორებს, რათა ფეხებით არ გათელონ ისინი და შემობრუნებისას თქვენც არ დაგულიჯონ“ (მათე 7/6).

11 ივლისის დილას ტელევიზორში ნახსმად, ბათუმის პორტში ამერიკელი სტუმრების „გასაკვირვებლად“ მოწყობილმა კურიოზმა მაიძულა, კიდევ ერთხელ მოუხმო ნაწვევს ჩემს მიერ „ილორიში“ გამოქვეყნებული წერილიდან – „პარიზული დღიურები“, რისთვისაც პატიებას ვთხოვ მკითხველს:

„... პარიზის პირველადანახის ბედნიერების აღწერას აქ არ შევუდგები, მაგრამ პირველი წუთიდანვე სასიამოვნო მოულოდნელობები თან რომ გვდევდა ამას გვერდს ვერ ავუვლი. გავიარეთ თუ არა რამდენიმე ათეული მეტრი სივრცის შუშის კოლბა, თვითმფრინავს რომ აერთებდა აროპორტის შენობასთან, იქვე მოსაცდელ დარბაზში ანსამბლ „რუსთავის“ თითქმის მთელი შემადგენლობა დაგვხვდა. კონცერტები ჰქონიათ „ოლიმპიას“ საკონცერტო დარბაზში, რომელსაც გაუგონარი წარმატებით ჩაუვლია... ამასვე ცოტა მოგვიანებით. მაშინ უცხოეთში ქართველის ნახვა განსაკუთრებული ზეიმი იყო (დღევანდელისგან განსხვავებით!) და სულაც არ ჰქონდა მნიშვნელობა იცნობდი თუ არა თანამემამულეს, ყველა დიდი სიხარულით ხვდებოდა ერთმანეთს.“

წინასწარ შედგენილ გეგმებთან ერთად ჩემთვის საინტერესო იყო, თუ როგორი გამოხმაურება ჰქონდა პრესაში რუსთავის კონცერტებს „ოლიმპიას“ დარბაზში, სადაც მანამდე არცერთ საბჭოთა ანსამბლს კონცერტი არ გაემართა. ამასვე ჩემმა ახალგაგონობილმა მეგობრმა გურამმა მოკლე პასუხი გამცა – „ერთ საღამოს ჯგუფთან ერთად გავიდეთ ოლიმპიას მიღამობებში და იქვე ვნახავთ ყველაფერსო!“

... ჩემთვის, ყველაფერი ეს ღამაზი სიზმრის ახდენაზე უფრო მეტი იყო და სასწრაფოდ დაფრთხილდი.

... პარიზში რუსთავის კონცერტს ვერ დავესწარი, მაგრამ გურამმა ერთი პატარა სასწაულის მომსწრე მანინც გაგვხადა „ოლიმპიას“ მიღამობებში – იმხანად, ახა-

ლი გამოსული იყო ყურთსასმენიანი პატარა მაგნიტოფონები, რომელიც იუნესკოს ბავშვთა დაცვის ფონდმა „ნიხეფ“-მა გამოუშვა და დიდს და პატარას კისერზე ეკიდა იგი და მუსიკას უსმენდა. ჩვენც ფეხით მოსიარულეთა ნაკადში გავერეთ. გურამი ბოდიშის მოხდით აჩერებდა გამველეთ, თხოვდა ჩემთვის ეთქვა თუ რა მუსიკას უსმენდა. ზოგმა სიამოვნებით, ზოგმა უსიამოდ მოგვაწოდა ყურთსასმენი, ჩვენც მადლობას ვუხდით, სანამ ერთ ახალგაზრდას გავაჩერებდით და გურამის ცნობილ კითხვაზე თუ რა მუსიკას უსმენდა, კინადამ სიცილით არ გაიფურა... სული რომ მოითქვა მიაყოლა – „თქვენმა სტუმარმა რა იცის ის ქვეყანა მე რომ მუსიკას ვუსმენო!“ და ყურთსასმენი მომწოდა, ადრევე ვიგრძენი რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო, მაგრამ მუსიკის პანგი რომ ჩამესმა ხელი ყურთან გამეყინა, ხმა ვერ ამოვიღე... გურამს დიმილი გადაფენოდა სახეზე – პამლეტ გონაშვილი გალობდა წინწაროს!..

გაოგნებული ფრანგი ახალგაზრდა ხან მე ხან გურამს შეჰყურებდა, ვიდრე გურამი ეტყოდა ჩემი სტუმარი ქართველია, ერთი კვირის წინ ჩამოვიდა პარიზში. ახლა ეს ემაწვილი აფორიაქდა – „უთხარი ხელი მომაკიდებინოს, ვიტრბახებ ცოცხალ ქართველს შევხელო!“

... მე იმის თქმას არ ვაპირებ 1983 წლის აპრილში პარიზი და საფრანგეთი ქართული ფოლკლორით ცხოვრობდა, მაგრამ დღევანდელი საქართველოსგან განსხვავებით (ნუ ამიჯანყდება ამ გამოთქმისათვის, ქართველთა ის მცირე ნაწილი, რომლისთვისაც ცხოვრების მიზნის აუცილებელი ნაწილია, რაზედაც მე გულდაწვეტილი ვსაუბრობ) უცხოეთშიც ჭეშმარიტი თავყვანისმცემლები რომ ყავდა ზემოთხსენებული პატარა მაგალიტის კმარა!

ასეთი იყო თქველესი ქართული კულტურისადმი დამოკიდებულება, არც ისე დიდი ხნის წინ ევროპის შუაგულში. დღეს კი, ფილმებში ნახავი, ამერიკის კონტინენტის აბორიგენი მოსახლეობის „ინდიელების“ მსგავსად, ხან აეროპორტებში, ხან კიდევ პორტებში ვხუქნაობთ, საეჭვო გემოვნების ფულიანი ტურისტების თუ... ვინ უწის – ჩვენი სამშობლოს საბოლოო დამაცვევრების წინაშე!..

მეჩინია ვინმე არ გაგაღიზიანო – რა ფოლკლორი აგიტყდა, ცეკვა-სიმღერა კი არა, ქვეყანა ვანდეთ უბირ და ყველაფერ ქართულდ-კარგულ ბავშვებს, დღე და დამ თვალწინ რომ გვიქცევდნენ მას და იმისთვის ვერ გვიშველიათ!

იქნებ მართალიც იყოს, მაგრამ მე მაინც ვიტყვი – ფოლკლორი, ცეკვა-სიმღერა, წესი და ტრადიცია ის სიმდიდრეა, რომელიც ბევრ ფულიან და ამ გზით დაწინაურებულ ქვეყნებს და ხალხებს (ჩვენი პრეზიდენტი და მისი მთავრობა მონური ერთგულებით თვალეში რომ შესცივინებს!) არ გააჩნიათ და მათგან განგვასხვავებს. დღეს თუ ჩემს სამშობლოს და ხალხს უჭირს, ეს სულაც არ ნიშნავს ვინმეს ფეხქვეშ გაველოდო. ამის გამო, ვინმეს საამებლად დღეს შელახული და დაკინებული ათასწლოვანი დირსება შეიძლება ვერასოდეს ადვიდგინოთ!

...უნებლიედ კიდევ ერთი ტელევიზორი თუ გადაცემა გამახსენდა – ერთი დაგვაჯული (ბოდიშს ვიხიდი ქალზე ამას რომ ვამბობ, მაგრამ სხვა სიტყვას ვერ ვარგებ!) შავკანიანი მანდილოსანი ქართუ-

ელ გოგო-ბიჭებს რაღაც მოძრაობებს აჩვენებდა. თავიდან ვიფიქრე, ალბათ რაღაც ფილმს იღებენ მეოქი. გვიან მიხვდი, „ზანგურ თუ ამერიკულ ბრეიკ-დანსის“ ცეკვას ასწავლიდა, იატაკზე რომ ფორთხავენ და ბოლოს კისერზე დარტობილი მოცეკვავე ბზრიადსავით რომ ტრიალებს... სწავლება სამოდ მკაცრი მითხონებით მიმდინარეობდა, მაგრამ ალაგალაგ, აპლოდისმენტებს და ოცდაათომეტ კბილსაც გამოუჩენდა (ალბათ მოწონების ნიშნად!).. „შავი გვაჯი“ იატაკზე ნაკოტრიალებ შევირდებს!..

ხანდისხან იმასაც ვფიქრობ, შესაძლოა მე ვერ გწვდები ზემოთაღწერილი კონტრილის სიღრმეს „ზანგურ თუ ამერიკულ ცეკვას – ბრეიკ-დანსის“ რომ ეძახიან, მაგრამ ეჭვი არ მახსენებს – ხომ არ არის იგი ცეკვის უძველესი ფორმა, რომელიც საოცრად ჰგავს „დარტინისეული თეორიით“ ადამიანის „წინაპართა“ მოძრაობას?!

თუ ეს მართლა ასეა, დროა ჩემს მიგნებასაც „ვერიკა!“ შევძახო და გემრიელი ტაში დაგუბათქუნო ოკეანისგაღმელებს, როგორც ვიტყობ ჩვენი განათლება რომ განუზრახავთ და ხმამაღლა მივყოლო – დიდი მადლობა თქვენ, ამ უადრესად ღრმა „კულტურულ-მეცნიერული“ აღმოჩენის ჩვენს სამშობლოში ექსპორტირებისათვის, მაგრამ იგი მუხუხუში შეინახეთ, ხალხში გამოსაჩენად კი გურამე ქართული ცეკვის ხელოვნებას დაეუფლოთ!..

ყველაფერს თავისი ადგილი და წესი აქვს, ნუ დავთმობთ ყველა სიწმინდეს უხნეთა და უბირთ შესაღახად, რომელთა აღზრდა და ოჯახური მორალი უბუნჩარებს და იაფფასიან თუ ჰერმადირებულ როსკიპებს“ არ სცილდება! დავით ქობალია

“ციტატა-შეხსენება
...ქართველი ერის არეალზე თანამედროვე დასავლეთის იმ ცხოვრებისეული წესის გაგრძელება, რომელიც ამერიკის მიერ კულტივირებული პორტეტანტული ღირებულებების საფუძველზე ვალიბდება, ჩვენს ერს, როგორც ერს, გაანადგურებს. ჩვენ იძულებული ვიქნებით ან უყოყმანოდ მივიღოთ უცხო დირებულებები და ამით, როგორც ვერ, თვითგანადგურდეთ, ანდა ისტორიულ სამშობლოში დამორჩილებულ მდგომარეობაში გადავიდეთ და თანდათან ფიზიკურად გავანადგურდეთ.
თითქმის არ არსებობს თანამედროვე დასავლური საზოგადოების სოციოკულტურული ფუნქციონირების ისეთი სფერო, ცხოვრების დასავლური წესის ისეთი დირებულებები და ფორმები, რომლებსაც რაიმე საერთო აქვთ ცხოვრების ტრადიციულ ქართულ წესთან, ჩვენს აზროვნებასთან, ეროვნულ მსოფლმხედველობასთან ან სოციოკულტურულ თვითმყოფლობასთან. ლიბერალური დასავლური სამყაროს ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები ქართველებისათვის აბსოლუტურად უცხოა...
ალექსანდრე ჭაჭია, 1997 წლის ივნისი”

ლაპრენტი ბერია — ქართული ბერია



სერგეი კრემლიოვი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

მან ხელიდან წართვა კავკასიელ კაცს თოფი და სანაცვლოდ მისცა ნამბალი, წართვა ხანჯალი და მისცა ურო.

პროლეტარიატმა, მოელმა ხალხმა თანდათან გაიგო ეს და იარაღს ხელი უშვა.

მაგრამ, ამას წინ უძღოდა დიდი ბრძოლა. ახალგაზრდა ბერიასათვის დროა დრო ეს ბრძოლა არაღვალურ სახეს იძენდა. ნებისმიერი საიდუმლო საქმე კი იძლევა საშუალებას, რომ მისი შემოქმედი ჭორების ქარცეცხლში გახვიო. მკითხველს ვთხოვთ გაიაზროს, თუ როგორ შეხვედებოდნენ ქალაქ რონოს მცხოვრებლები მათ თანამემამულე, ცნობილ საბჭოთა მხევრავს ნიკოლოზ კუზნეცოვს წინასწარი ახსნა-განმარტების გარეშე, რომელიც ორი წლის განმავლობაში დადიოდა რონოს ქუჩებში და ასრულებდა ვერმანტის ოფიცის მოვალეობას.

ზუსტად ეს ფონი აქვს ბრალდებას ბერიას წინააღმდეგ, რომელიც მის ჯაშუშობას უკავშირდება მუსავაგელთა სასარგებლოდ. ამ მხრივ, როგორც იტყვიან, დახვავებულია ყალბი ბრალდებები, ამიტომ, კიდევ ერთხელ უნდა დაგუბრუნდეთ ბერიას ცხოვრებას.

სერგო ბერია წერს: "ის, რომ მამა ბოლშევიკთა პარტიის დავალებით ბაქოს კონტრდაზვერვაში მუშაობდა, არასდროს ყოფილა დამალული. ზუსტად აქ დაიწყო მისი, როგორც მხვერვაის გზა. ყველაზე კარგად ამის თაობაზე ანასტას მიქოიანმა იცოდა, რომელიც იგივე დავალებას ასრულებდა."

დავუჯეროთ თუ არა ბერიას შვილს? მისი წიგნი "მამანემი - ლავრენტი ბერია" ხომ ხშირად არასაიმედო ცნობებს შეიცავს, რაც ეკვის ქვეშ აყენებს მუსავაგელთა თვით ანასტას მიქოიანის მუშაობის საკითხსაც კი (იმითმომ, რომ იგი მაშინ ამიერკავკასიის ერთ-ერთი ცნობილი პარტიული ლიდერი გახლდათ).

სამაგიეროდ, სხვა რამეზე მეტყველებს ქურნალ "ოუნოსტის" 1989 წლის მეცხრე ნომერში გამოქვეყნებული ფ.ი. ბერეხინის წერილი, რომელშიც ავტორი ამტკიცებს, რომ მამამისი ი.დ. ბერეხინი, რომელიც 1918-1921 წლებში მოსკოვის საგანგებო კომისიის მდივანდ მუშაობდა, თითქოსდა სერგო ბერიას მამის მსხვერპლი იყო.

წერილის ავტორი მამამისის გადმოცემით მოგვითხრობს, რომ თითქოს 1921 წლის დეკემბერში მამამისი გამოიძახა თავისთან მერქინსკი და გადასცა ბერიას დაპატიმრების ორდერი. "ამასთან, - წერს ბერეხინი-უმცროსი, - ფელიქს ვდმუნდის ძემ მას უთხრა, რომ კედროვმა (იმ დროში გამორჩენილმა ჩეკისტმა) შეადგინა მოხსენებითი ბარათი, სადაც ასახულია ბერიას პროვოკაციული ქმედებები, როცა იგი აზერბაიჯანის ჩეკაში მუშაობდა..."

შეჩერდით! ბერეხინი მხოლოდ მოსკოვის საგანგებო კომისიის მდივანია. ეს კი ნიშნავს: აიღე, წაიღე, მოიტანე და სხვას. მისთვის დაპატიმრების ორდერის ჩაბარება - ეს გასაგებია.

მაგრამ, რატომ მოუთხრობდა საკავშირო საგანგებო კომისიის თავმჯდომარე თუნდაც ცენტრალური აპარატის რიგით თანამშრომელს ისეთ დეტალებს, რომლის ცოდნა დავალების შესრულებისას მისთვის სავალდებულო არ არის? ეს ხომ დაუწერელი კანონია ამ სისტემაში მომუშავე ადამიანებისათვის - მან უნდა იცოდეს მხოლოდ

ის, რაც უნდა იცოდეს! და ამ წესს არავინ არღვევს. მაგრამ მოდით, ვირწმუნოთ ბერეხინ-მამისა თუ ბერეხინ-შვილის ვერსია იმის თაობაზე, რომ "რკინის ფელიქსმა" წაილაგა. მაგრამ, ბერეხინის მიერ შემდეგ მოთხრობილი ამბები საერთოდ დაუჯერებელია!

ბერიას დასაპატიმრებლად, რომელიც ღამის მატარებელი უნდა ჩამოსულიყო ბაქოდან, დანიშნული იყო განრიგი ოთხი ჩეკისტის შემადგენლობით, თუმცა, ჯგუფის უფროსმაც არ იცოდა, თუ ვინ უნდა დაეკავებინათ.

კი მაგრამ, ეს როგორ? როგორ უნდა დააპატიმრონ მათ ადამიანი, რომლის ვინაობა არ იცინა? ან რატომ არ უნდა სცოდნოდა განრიგის უფროსს, რომ დასაპატიმრებელი მაშინ მოსკოვისათვის სრულიად უცნობი ბერია იყო? თვით ბერეხინმა-მამამ ხომ პირველად ამ პიროვნების თაობაზე მერქინსკის კაბინეტში შეიტყო?

აქ უკვე ფანტაზიამ უღალატა ან მამას, ან შვილს. ამგვარი კაზუსი ჭორების აღრევის შედეგია. იტყვიან ადენი ხანის გასვლის შემდეგაც - ეს 1953 წელს ქუხდა ბერიას სახელი, თორემ, 1921 წელს ჩეკისტებს ასიათასობით ბერიასთანა ჰყავდათ დაკავებულები!

შემდეგ კი ბერეხინ-შვილის ვერსია ასე ვითარდება:

"ბაქოს მატარებლის სადგურში შემოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე მერქინსკი კვლავ თავისთან იხმო ბერეხინი და უთხრა, რომ ბერიას დაპატიმრება გადაიდო, გამართვა ორდერი და გაბრაზებულმა დახია.

- რა მოხდა? - ჰკითხა ბერეხინმა.
- სტალინმა დარეკა და ბრძანა, რომ, მიქოიანის შუამდგომლობით, საჭირო არ არის ბერიას მიმართ ასეთი მკაცრი ზომის გატარება, - უპასუხა მერქინსკიმ...

იმ დამით ბერია მართოდ არ ჩამოსულა მოსკოვში და არც საყვედური მიუღია იმ-იტომ, რომ საკავშირო საგანგებო კომისიაში არ გამოცხადდა. ეს უკვე ალბათ სტალინის ან მერქინსკის ნებით მოხდა.

- მამა მეუბნებოდა, - აგრძელებს ბერეხინი, - რომ ბერიამ გუმანით იგრძნო საშინაობა, მას შემდეგ, რაც კედროვმა მისი ბაქოში მოღვაწეობა შეამოწმა."

არა, პატივცემული მკითხველო! მაინც კარგია, რომ "რეპრესიების მსხვერპლი" დიდი მადრეკილება გააჩნიათ "შემუარებისადმი"! ადამირალი კანარისი მაიორ შტეინგლიცს ეუბნებოდა, რომ სავალდებულო არაა ვირსათვის დამახასიათებელი იყოს მხოლოდ გრძელი ყურები. იგივე ეხებათ ბერეხინის მსგავს მოხრობებებსაც. თავად არ იცინა, თუ რას სწერენ.

დავსვათ შეკითხვა: "როგორ შეიძლება, რომ სტალინს, რომელსაც მაშინ არავითარი კავშირი არ გააჩნდა საგანგებო კომისიასთან, და მით უმეტეს მიქოიანს, სცოდნოდნოდა, რომ ჩეკისტები აპირებდნენ ჩეკის ხელმძღვანელი მუშაკის (მაგრამ პერიფერიიდან) დაპატიმრებას?"

იტყვებ ვინმემ რამე დააყრანტალა? მაგრამ ვინ? ან ვისთან დააყრანტალა? სხვათა შორის, თავად მამა-ბერეხინი აცხადებს, რომ ბერიას არ შეეძლო მიეღო ინფორმაცია მისი მოსალოდნელი დაპატიმრების თაობაზე. ან როგორ მიიღებდა ასეთ ინფორმაციას, როცა მის პიროვნებაზე ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გააჩნდათ მათ. ვისაც დავალებული იქონდა ბერიას დაპატიმრება.

ესე იგი, ის ვერსია, რომ ბერია გააფრთხილა მიქოიანმა და ამ უკანასკნელმა თავი აარიდა მოსკოვში ჩასვლას, ვერაუთარ კრიტიკას ვერ უძლებს. ახსურდია ისიც, რომ ბერიამ "გუმანით იგრძნო" საშინაობა. ბერია რა, ასეთი გამოუცდელი იყო ჩეკისტურ გარემოში? მას რომ დაპატიმრების თაობაზე ცნობა ჰქონდა და საკუთარ დანაშაულში ყოფილიყო დარწმუნებული, ისიც ეცოდინებოდა, რომ თუ არ დააკავებდნენ მოსკოვში, მაშინ დააკავებდნენ ბაქოში.

მაშინ ის ბარგი-ბარხანას მოკრფავდა და

"თავისიანებთან" მოკურცხლავდა სახლ-ვარგარეთ. მაშინ ხომ ეს სრულიად უბრალო საქმე გახლდათ!

შემდგომ... ბერეხინი-შვილი წერს, რომ მამამისმა "ჩეკისტთა ვიწრო წრეში ისაუბრა მერქინსკის სურვილზე - დაეპატიმრებინა ბერია და ამ საქმეში სტალინისა და მიქოიანის როლზე..."

მაინც, როგორ უნდა შეეფასოთ ეს ამბავი? რა უნდა ვთქვათ იმ ადამიანზე, რომელიც თანამშრომლებს შორის ჭორს ავრცელებს იმ ადამიანზე, რომლის გალანძვაც მას სურს? გასაგებია, რომ ასეთი ადამიანი, სულ მეტივე - ცილისმწამებელი და მოშურნეა.

მაგრამ 1932 წელი სულაც არ გახლავთ იოლი პერიოდი.

ბერია უკვე ამიერკავკასიის პარტიული ლიდერი, რომელსაც სხვა "ხელმოცარული" ლიდერები შეცვალა. იგი დიდი ერთგულია როგორც სტალინის საქმის (ე.ი. რუსეთში სოციალიზმის აშენების), ასევე პირდაპირ სტალინისა. პოლიტიკური ბრძოლა საკავშირო კომპარტიის (ბ) ბიროსა და "ულონისტებს" შორის მწვავე ფაზაში შედის. და აი, ასეთ ფაზს ჩეკისტები "ჩეკისტთა ვიწრო წრეში" ცდილობს ამიერკავკასიის კომუნისტთა ლიდერის ავტორიტეტის შერყევას - რაც მოლიანად პარტიის დისკრედიტაციას ნიშნავს. ეს როგორ უნდა გავიგოთ?

ხომ არ არის ეს "ორგზის საპატიო ჩეკისტის" მიერ ტროცკისტებისადმი სიმპათიის გამოვლინება?

მერქინსკის მიერ ორდერის გაცემისა მე არ მჯერა (არ ვიცი რამდენად დაიჯერებს ამას მკითხველი). ხოლო ბერეხინი-მამა 1932 წელს რომ ცილისმწამებლურ ჭორებს ავრცელებდა, ამისა მჯერა. ეს იმ პერიოდისათვის საკლებით დამახასიათებელი საქციელია.

ბერეხინი, სხვათა შორის, ბერიას სახელის შეღავათს ცდილობდა საკავშირო საგანგებო კომისიის და მთავარი პოლიტსამმართველოს (ოგპუ) 15 წლის იუბილეზე. მანამდე ერთი წლით ადრე - 1931 წლის 30 მარტს, ოგპუ-ს თავმჯდომარემ მენქინსკიმ გამოსცა ბრძანება №154/93...

მაგრამ ძალიან წინ ნუ გავიჭვრებით. დაგუბრუნდეთ ოციან წლებს, როც ბერია აცნობებდა მოსკოვში ორჯონიკიძეს:

"სოხუმში ლევან დლობერიძე იხვეწებს. ამხანაგ ლაკობასა და სხვა პარტიული მფობრების გადმოცემით ამხ. დლობერიძე ჩემსა და ამიერკავკასიის ახალ ხელმძღვანელობაზე (ბერია მაშინ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეთო კომიტეტის მდივანი იყო, რომელიც ავრთიანებდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პარტორგანიზაციებს) ავრცელებს ბინძურ ხმებს. კერძოდ, ჩემს წარსულ საქმიანობაზე მუსავაგისტურ კონტრდაზვერვაში, რომ თითქოს პარტიამ ამის თაობაზე არაფერი იცოდა და არც იცის. ამასთან, თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ მუსავაგისტთა დაზვერვაში მე გაგზავნილი ვიყავი პარტიის მიერ და ეს საკითხი განხილულ იქნა აზერბაიჯანის კომპარტიაში, რომელსაც ესწრებოდით თქვენ, ამხანაგები სტასოვი, კამინსკი, მირზა დაუდ პუსეინოვი, ნარიმანოვი, სარქისი, რუსული, ასუნდოვი, ბუნიათ-ზადე და სხვები. მაშინ ხომ ჩემი სრული რეაბილიტაცია მოხდა, რომლის დოკუმენტაციაც არსებობს, რომლის მასალებიც მე თქვენ 1925 წელს გადმოგიცემით".

ეს წერილი 1995 წელს გამოქვეყნდა თეორიულ-პოლიტიკურ ჟურნალ "თავისუფალ აზრში", რომელსაც დემოკრატიის ისეთი საყრდენი გამოსცემს, როგორცაა გორბაჩოვის ფონდი. საეჭვოა, რომ იქ აღფრთოვანებულად იყვნენ ბერიას პიროვნებით, ასე რომ, ამ წერილის რეალობას უნდა ვენდოთ, მით უმეტეს, რომ მისი ორიგინალი ინახება ახალი ისტორიის დოკუმენტაციის შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრში.

როგორც ხედავთ, ამ შემთხვევაში, უნდა დავუჯეროთ ბერიას შვილს, მაგრამ არამც

და არამც არ უნდა დავუჯეროთ იაკობ დავითის ძე ბერეხინის შვილს.

ისევე, როგორც თავად იაკობ დავითის ძეს. და რაც დამახასიათებელია - ეს, თითქოსდა, ბერიას მამხილებელი საბუთები, შევიდა პოლიტგამოცემლობის მიერ 1991 წელს დასტამბულ კრებულში "ბერია: კარიერის დასასრული". როგორც ჩანს, გაუჭირდათ ბერიას "გამომავალკარაგებლებს", თუ დოკუმენტურად მათი ბრალდებები მხოლოდ ჭორებზე დაფუძნებული...

მაგრამ მოდით, კვლავ ანალიზს დაგუბრუნდეთ. ბაქოში ბერია მუშაობდა მუსავაგისტთა კონტრდაზვერვაში. თუ ამხანაგებს მის კეთილსინდისიერებაში ეჭვი გაუჩნდებოდათ, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაუშვებდნენ კი მას საქართველოში არალეგალურ სამუშაოზე? იგი კი საქართველოში მიაგვლინეს!

მაშინ, რატომ მსჯელობენ ამდენს ბაქოში ბერიას მიღვაწეობის პერიოდზე? ფიქრობ, რომ ეს უპირველესად ბერეხინისა და კედროვის მიერ გავრცელებული ინსინუაციების შედეგია.

მიხეილ კედროვმა ძალზე რთული ხსოვნა დატოვა საკუთარ პიროვნებაზე. ძველი ბოლშევიკი, ლენინის ნაცნობი, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სხვადასხვა დავალებებს ასრულებდა რუსეთის ჩრდილოეთში. 1919 წლის 1 იანვრიდან 18 აგვისტომდე საკავშირო საგანგებო კომისიის განსაკუთრებულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, იმავე წლის ბოლოს კი იგი სრულიად რუსეთის რესპუბლიკის სანეტარული მდგომარეობის გაუმჯობესების კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა.

მან ალბათ რაღაცით ვერ მოიგო მერქინსკის გული, თორემ ასეთ ფაზს გამოცდილი ჩეკისტის საკუთარი პროფესიისაგან მოცილება სრულიად აუხსნელი ამბავია.

რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? კედროვი ცნობილი იყო არა, უბრალოდ სასტიკი, არამედ სახინლად სასტიკი პიროვნება. თუმცა, სუსხინან ფაზს სისხსტიკე დიდ ნაკლად არ ითვლება. მაგრამ, ხელმძღვანელი დამოკიდებულება და საგანგებო კომისიის თანამშრომელთათვის ლაფის მიხსმა არმიის დაღერებას უქმნის საფრთხეს!

ალბათ ამიტომაც მოიშორა მერქინსკიმ თავიდან კედროვი. საპირფარეოსი სუფთად შენახვა მაშინ, როცა გარშემო ტიფი და ქოლერა მძვინვარებს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, მაგრამ, ამ საკითხის ტრიბუნალზე გატანა შედეგს ვერ მოიტანს.

მოგვიანებით კედროვი რამდენიმე საკონტროლო ორგანიზაციასაც თავაკაცობდა. აქ იგი ჩვეულებრივად მკაცრი იყო, მაგრამ გადაწყვეტილებებს მაინც სხვები იღებდნენ.

კედროვი დროებით დაუბრუნდა ჩეკისტურ ორგანიზაციას 1921-1924 წლებში, როცა იგი სამხრეთ კასპის ჩეკას რწმუნებულად იყო და შრომისა და თავდაცვის კომიტეტში ამ რეგიონში თვეების მრეწველობის საკითხებსაც განაგებდა. სწორედ ამ პოსტებზე მუშაობისას, ბაქოში, მან მაგნო ბერიას საწინააღმდეგო "მაკომპრომენტებულ მასალებს".

დაზვერვა, მით უმეტეს არალეგალური, ავანტურული დაზვერვა იოლი საქმე არ გახლავთ. სამოქალაქო ომის პერიოდში კი საერთოდ არ ხდება მისი დოკუმენტირება. კედროვი კი შეზღუდული გონების ადამიანი იყო - ისევე, როგორც ხმებს მიყურადებელი ყველა ეჭვიანი პირი. იგი რეალურად ვერ აფასებდა სიტუაციას.

მისი კომპეტენცია მხოლოდ აზერბაიჯანზე ვრცელდებოდა. სწორედ ბაქოდან გაავრცელა კედროვმა ხმები ბერიას "მუსავატურ ავანტურაზე".

და ეს ხმები ვიდაცის სმენას საამურ მანვად ჩაესმა. ბერია ხომ უძლიერეს ორგანიზაციაში - საგანგებო კომისიაში მუშაობდა. ამ სტრუქტურაში მომუშავე ხალხს კი მოშურნეობა არასოდეს დაჰკლებია...

რა ანუხებს სამეგრელოს გლეხობას?

გთავაზობთ ნაწევრებს ბატონების გახტანგ გვარამიას და პროფესორ გიორგი ციციშვილის წიგნიდან "სამეგრელოს საკითხი".

იმ მიზნით, რომ უკეთ გაეცნოთ და გაეცნოთ პროცესები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობდნენ წინამდებარე წიგნის თემასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხებიდან, აუცილებელია გავეცნოთ იმ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, რომლის პირობებშიც მომზადდა და აღმოცენდა "მეგრული საკითხი", როგორც კომპარტიის წინაშე მდგარი გარდაუვალად გადასატარებელი პრობლემა.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ უმთავრეს ამოცანად დაისახა ძალაუფლების შენარჩუნება. ამ მიზნით კომუნისტურმა პარტიამ და ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პროლეტარულ წრეებში და გლეხობის ფართო მასებში მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდას. პარტია და ხელისუფლება გლეხობის მიმართ დამოკიდებულებაში მთავარ ამოცანად სახავდნენ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების დანერგვას და უღარიბესი მასების საარსებო პირობების დაჩქარებულ, ძირეულ გაუმჯობესებას. ლენინი საქართველოს კომუნისტებს ამოცანად უსახავდა "დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკის" განხორციელებას წერილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციისა და, განსაკუთრებით, გლეხობის მიმართ. 1923 წლის აღწერის ცნობებით გლეხობა საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში და მით უმეტეს საქართველოს განაპირა მხარეებში, მათ შორის სამეგრელოში. სამეგრელოს გლეხობა უკიდურეს სიღატაკს განიცდიდა რეგიონის სამეურნეო-აგარარული სპეციფიკის გამო. დამატებით სიმძიმეებს ჰქმნიდა "ახალი ეკონომიკური პოლიტიკა", რომლის გამო სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის ფასები გლეხობისათვის აუცილებელი სამრეწველო პროდუქციის ფასებთან მკვეთრ შეუსაბამობაში აღმოჩნდა.

სამეგრელოს სოფლის მოსახლეობის უკიდურესად მძიმე მდგომარეობის შესახებ მრავალი წყარო მეტყველებს. მათ შორის თვალსაჩინოების მიზნით საყურადღებოა პავლე აკობიას 1921 წლის 9 თებერვლის წერილი ამხანაგების მიმართ. "ამხანაგებო! - წერს იგი, - ბოდიშს ვიხდი რომ გაწუხებთ, მაგრამ უკიდურესი პირობები მაიძულებენ შეგაწუხოთ. მინდა ხანდახან ბაზარში გავიდე, მაგრამ ტანისამოსის უქონლობის გამო ვერ ვახერხებ ჩემი ეზოდან ფეხის დატერას. მაქვს 14 გამხმარი სულგუნი გამხმარი ყველი, 20 გირვანქა ვაშლი. ყველა ამას გამოგიგზავნი და მიშველეთ თუ საქონელი მოგეპოვებათ ერთი საბლუზე და საშარფლე, თუ არა და, შეიძლება ვინმე თქვენგანს ჰქონდეს ნატარები ბლუზა და შარვალი და უბრალო ფეხსაცმელი. ეს სამი ჩემთვის უცილობელი საჭირო საგნები მომიხერხეთ" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 23, ფურცელი 1). მსგავსი მდგომარეობა იყო ზუგდიდის მაზრასა და მთლიანად სამეგრელოში უახლოეს მომდევნო წლებშიც. 1922 წლის გაზაფხულზე სოფლად სამუშაოდ ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის მიერ მივლინებული ხელმძღვანელი მუშაკები ითხოვენ ფეხსაცმელსა და ტანისამოსს. მათ შორის გიორგი წახნაკიძე წერს, დავალების შესრულებას მიძღვება ის რომ "რაც მქონდა ტანისამოსი და ფეხსაცმელი ყველაფერი დამეხო" (იქვე,

ფურცელი 19,23).

მაზრის გლეხობის მდგომარეობისა და მოთხოვნილებათა შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის უპარტიო გლეხთა კონფერენციის წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით გამოკითხულთა პასუხების მონაცემები: 1923 წლის 17 ივლისს ზუგდიდის მაზრის პარტიკომმა მოისმინა მოსესენება "უპარტიო გლეხთა კონფერენციის შესახებ". პირველი კითხვაზე - "რაზე ფიქრობს გლეხობა?" პასუხი ასეთია: "გლეხობას უფრო აინტერესებს ცხოვრების ეკონომიკური მხარე... მეტად ცუდ პირობებში იმყოფება, მისი ნაწარმოები ბაზარში ჩალის ფასად იყიდება, ქალაქის ნაწარმი მისთვის ხელმიუწვდომელია... ხშირად ტანისამოსის და ქვეშაგებლის უქონლობისა გამო ჩალაზე წვანან ხოლმე. ზამთრობიც და ესლაც კი მთელ დამეს კერძის გვერდზე ათენებენ, ყველაზე უფრო მათ აწუხებთ მარილის და ნავთის გაძვირება..." სხვა კითხვაზე პასუხი ასეთია: "გლეხობა დაინტერესებულია სამეურნეო იარაღის გაუმჯობესებით, სწავლა-განათლების ფართო მასშტაბით განვითარებით, დარწმუნებულია იმაში, რომ სწავლა-განათლება ეს არის ერთადერთი მსხველი მისი. მათთვის არა ნაკლებ საინტერესოა კოლპერატივების აღორძინება... კერძო კოლპერატივის თანახმა არ არიან. იქ არ შევლენ თუ მთავრობამ თავის თავზე არ მიიღო კოლპერატივის ხელმძღვანელობა

ციტატა-შესხენება
"თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ სამეგრელოს პრობლემებზე, სამეგრელოს მოსახლეობის გაჭირვებულ მდგომარეობაზე, სამეგრელოს პერსპექტივებზე ნებისმიერი მსჯელობა გარკვეულ წრეებში მაშინვე იწვევს ბრალდებას სეპარატიზმში. თვით სიტყვაც კი "სამეგრელო", ზოგიერთის ავადმყოფურ აზროვნებაში სეპარატიზმთანაა დაკავშირებული. ამ სენამ ისეთი გავრცელება ჰპოვა, რომ თვით მეგრელებიც კი ერიდებიან სამეგრელოს სახელად მდგომარეობაზე, მეგრულ კულტურასა თუ სპეციფიკაზე საჯარო საუბარს, ამ ბრალდების თავიდან ასაცილებლად. მეტიც, ამ ბრალდებებმა ჩვენს ხალხში თავისებური არასრულფასოვანების კომპლექსი კი ჩამოაყალიბა. ჩვენ იძულებული ვართ, სულ ვუმტკიცოთ ვიღაცას, რომ ვართ ქართველები, რომ მთელი საქართველოს ტკივილი ისევე გვტკივს, როგორც ჩვენი კუთხის, ჩვენი ოჯახის სატკივარი..."
ალექსანდრე ჭავჭავაძის სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" II ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა, 2001 წლის 12 ოქტომბერი"

და კონტროლი. როგორც მათთან საუბარში ირკვევა გლეხები მზად არიან საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ კოლპერატივს თავისი უანასკენელი განბი (მიწა) შესწირონ..."

...მეორე, სხვა სანდო წყაროს მიხედვით, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პირველი ნაბიჯების მიუხედავად, 1925 წელს ზუგდიდის მაზრაში საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ცენტრის მიერ მივლინებული ავტორიტეტული კომისიის მონაცემებით დასტურდება, რომ "მაზრაში სრული ეკონომიკური ჩამორჩენილობაა, გლეხობის 90 პროცენტს აბსოლუტურად არა აქვთ არავითარი ტექნიკურ-პოლიტიკური განათლება, არ იციან და არ ესმით ქართული ენა. მოსახლეობას დიდი მოთხოვნა აქვს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობის მიღებისა, ამაში მათ ხელს უშლის ქართული ენის უცოდინარობა, რომლის გაუთვალისწინებლობა უკვე მოუთმენელი და შეუძლებელი ხდება".

მეგრელებში ქართული ენის არცოდნას ადასტურებენ სხვა წყაროებიც. მაგალითად, ისტორიკოსი და ფილოლოგი შალვა ბერიძე, რომელმაც სამეცნიერო მიზნით 1919 წელს სამურზაყანოში იმოგზაურა, წერს: "ენგურიდან დაღიბამდე, ზედ ქალაქ ოჩამჩირის კარე-


ბამდე... ვერ გაიგონებთ აფხაზურსა, ბატონობს მეგრული, ინტელეგენციამ (გალი, აზიგარა) იცის რა თქმა უნდა რუსული წერა-კითხვა, ლაპარაკობს მეგრულად და არ იცის ქართული" (შ. ბერიძე, "მეგრული ენა", გვ. 20). მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სამეგრელოს გლეხობა საკუთარი და ოჯახური დუხჭირი ცხოვრების შეცვლისა და გაუმჯობესების აუცილებელ პირობას სწავლა-განათლების მიღებასა და ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური აღმშენებლობის პროცესში აქტიურ მონაწილეობაში და ამ გზაზე გასვლის უმთავრეს დაბრკოლებას სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული ქართული ენის უცოდინარობაში ხედავს.

ამ დროს კი, წყაროები მოწმობენ, რომ ზუგდიდის მაზრაში სკოლის ასაკის ბავშვთა 55-60 პროცენტი მის მიღმა იყო დარჩენილი და იძულებული ხდებოდა ყოველგვარი სასკოლო აუცილებელი მინიმალური ცოდნის გარეშე ჩაბმულიყო კერძო კუსტარულსა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. მსგავსი მდგომარეობა იყო სამურზაყანოსა და სამეგრელოს სხვა რაიონების სოფლებში. ეს იმას მეტყველებს, რომ ისინი საჭიროებდნენ გარდამავალი ხასიათის შედეგად: მეგრულ გასაგებ ენაზე "სათანადო", ანუ გლეხურ საცნობარო ლიტერატურას, თავიანთი შვილების სწავლის გაიოლების და თუნდაც დაწყებითი აუცილებელი განათლების

მმართველს ნ.პ. კოლუბიაკინსა და ჩვენს შორის დამყარდა მეტად გულწრფელი და მეგობრული ურთიერთობა; ყოველი ჩვენი ნაბიჯი, ყოველი ჩვენი მოქმედება შეთანხმებული იყო ჩვენს საერთო თათბირზე შემუშავებულ პროგრამასთან; მმართველი არ გვაიძულებდა თავისი პირადი რამე გაგვეკეთებინა, და ასეთი მეგობრული, ერთმანეთს შეთანხმებული მოქმედება ბევრ რამეში გამოგვადგა. ყოველი დღე, ყოველი საათი განუწყვეტელის პრაქტიკისა გამოცდილებასა გვძენდა და ადგილობრივ განსაკუთრებულ პირობათა შესწავლის საქმეში თვალსაჩინო წარმატება გვეტოვებოდა. ჩვენ რაკი შუამავლებად ვიყავით დაყენებულნი მებატონებებსა და გლეხებს შუა, უნდა ვცდილიყავით, რაც შეიძლებოდა აღგვედგინა პრესტიჟი პირველთა და თან გლეხების თავი არ დაგვეჩაგრებინა. საადგილმამულო იურისდიქცია მებატონეთა ძალაუფლებისა გლეხების აჯანყების შემდეგ წარმოუდგენელი გახდა და მთელს თვისას სიმძიმით ჩვენვე დაგვაწვა კისურზე. მართალია, მებატონეებს მხარს ვუჭერდით, როცა მოთხოვნა კანონიერი იყო, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო გლეხებისათვის აგვეკრძალა – მათს ბოროტმოქმედებაზე ნულად სწივითო, თუმცა იმ დროს მთელს იმპერიაში არსებულ ბატონქმურ სამართლის შინაარსის თანახმად ასეთის საჩივრის ნება გლეხს არ ეძლეოდა. ჯერ კიდევ ეკატერინე II (რომელიც ესოდენ ეძიებდა, რომ ვოლტერს, ლიდროს და დელამბერს ექვით მისი ლიბერალიზმი) ბრძანების ძალით ჩვენს ადმინისტრაციას უფლება არა პქონდა გლეხებისაგან მემამულეებზე შემოტანილი საჩივარი მოესმინა, და მებატონეთა ბოროტმოქმედებების საქმეებს არჩევდნენ მხოლოდ თავად-აზნაურობის სამაზრო და საგუბერნიო წინამძღოლები, და საიდუმლოდ – III-ე განყოფილება.

სამეგრელოში ასეთი დაწესებულებანი სრულიად არ იყო, თავად-აზნაურობის უფლებრივი მდგომარეობა ჯერ კიდევ არ გამოერკვიათ, ასე რომ ოლქის უფროსი წარმომადგებელი მეტად სხვადასხვა ფუნქციებით აღჭურვილ პიროვნებას იყო ადმინისტრატორიც, სამოსამართლო და საპოლიციო ძალა-უფლების წარმომადგენელი და ერთგვარი თავდაზნაურობის წინამძღოლიც; თვით პრაქტიკამ შეგვიქმინა ასეთი ვრცელი კომპეტენცია. ფაქტიურად ჩვენ, სამეგრელოში გაგუსწართ რუსეთის შიდა გუბერნიებს მომრიგებელ-შუამავლების თანამდებობის შემოღებაში, რადგან ჩვენის მოქმედებით ძალიან ვემსგავსებოდით ასეთებს. რა თქმა უნდა, ყველა იმ შემთხვევაში, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ, ე. ი. სადაც საჩივარი შემოქმონდათ ოჯახის წევრების ცალ-ცალკე და უმიწოდ გაყიდვაზე, სადაც გლეხები, რადაც ქალაქის ნახევების ძალით, თავისთავს მსგავს გლეხებს ეკუთვნიდნენ; სადაც დასასრულდ, საქმეს ჩვენის ძალდონით თავს ვერ ვართმევდით, როგორც მაგალითად, აზნაურ შავდიების კუთვნილ გლეხის საქმეში, ჩვენ მივმართავდით იმპერიის საერთო კანონებს და დაუყოვნებლივ ვათავისუფლებდით ასეთ გლეხებს და ამის მოწმობასაც ვაძლევდით ამ გლეხებს, ხოლო მათ პატრონებს შეეძლოთ ხაზინიდან სულზე ოთხი თუმანი მიეღოთ. ასეთი გლეხებისგან შემდეგ შეიქმნა თავისთავად გლეხთა კლასი, რომელთა რიცხვი 1860 წელს 400-მდე აღიოდა. და ყოველ ცალკეულ შემთხვევისათვის ასეთაირად მოქცევისათა ერთად, ჩვენ ერთი რამ საზოგადოდ შემოვიდეთ, სახელდობრ: ერთხელ და სამუდამოდ ავეკრძალეთ მებატონეებს თავიანთ ყმების სახლებში სტუმრად მისვლა და მათთან ჭამა-სმა, რაცა ამ გლეხებს კალიასებრ ანადგურებდა.

ჩვენდა სასიხარულოდ დავიინახეთ დაუყოვნებლივ, მეტად სანუგეშო შედეგი ჩვენის მოღვაწეობისა: გლეხები გულმოდგინედ შეუდგნენ მათს მიერ თავმინებებულ მიწების დამუშავებას და ანუელის პურის თესვას. მინდორზე განდნენ მშვიდობის-მოყვარე ჯაგუფები კაცების, ქალებისა, ბავშვებისა და გაისმა ჩვეულებრივი სიმღერა მხენელ-მთევლისა. გახიზრდა მუშაობა და მუშაობასთან ერთად გაიმართა აუცილებელი საადგილ-მამულო დავა,

რომელიც ხშირად ცემა-ტყვიით მოავრდებოდა. აქაც უნდა მივსულიყავით საქმის გასარჩევად. მართალია, მეტად სადავიდარაბო საქმე იყო, მაგრამ არსებითად მხოლოდ უნდა გაგვეხარებინეთ. ვხვდავდით, რომ ხალხი თავის ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას შეუდგა. ამ თავისთავად საქმეს ხედ დაერთო ზრუნვა საქონლისა და განსაკუთრებით ცხენის ქურდობის მოსპობისათვის; ქურდობა მეგრელების ტომებრივ, ტრადიციულ თვისებას სეადგენდა. ცხენის ქურდობა ისეთსავე ოსტატობით იციან, როგორც იციან ეს ამერიკის წითელკანიანმა ინდიელებმა, რაცა აქეს აღწერილი კუპერსა და მაინ რიდს. მეგრელების სესახებ საქართველოში ერთი თქმაცაა: სამოთხეში რომ შესულა მეგრელი, წმინდა გიორგის რაში დაუნახავს, ვერ მოუთმენია და მოუპარნიაო. ცხენი პარიობა არ შეწყვეტილა გლეხების აჯანყების დროსაც-კი და ახლა, როცა გლეხები თავთავიანთ კერას უბრუნდებოდნენ, ეს ცხენიპარიობა ჩვეულებრივ გაგრძელდა. ამ ხელობას თავისი ორგანიზაცია პქონდა და მასში მონაწილეობას იღებდნენ ყველა წოდების მეგრელები. ამასთან საბრძოლველად საჭირო იყო ახლო გავსცნობოდით ამ ორგანიზაციას, რასაც ცოტადრო-კი არ დასჭირებია, მანამდე კი საერთო პასუხისმგებლად ვხდით იმ სოფელს, რომლის სახლგარში მოიტანდნენ მოპარულ ცხენის კვას. ამ სოფელს დაუყოვნებლივ გადავახდევინებდით მოპარულ ცხენის საფასურს, ხოლო იმათ უნდა ეპოვნათ ქურდი და ჩვენთვის უნდა წარმოედგინათ საჭირო დამამტკიცებელ საბუთებუთურთ. სამეგრელოს სოფლებში ძნელი იყო გზაკვალის გაგნება; ამ სოფლებს საერთო არაფერი აქვსთ ველიკორუსულ სოფლებთან: აქ არ არის მთლიანი მოსახლეობა და ადარც საერთო მფლობელობა მიწისა, თითოეული მოსახლეობა თავისთვის ეწვეა მეურნეობას, ყოველი მოსახლე გაცალკეებით ცხოვრობს, თავის სახლ-კარისა და ეზოყურეებისათვის მაღალი ღირებულება, კელით შემოვლანდული და ყოველივე ეს ჩაფლულია გაუვალ ბუჩქნარებში და ხეებში, რომლებზედაც გადახლართულია ვაზები. სოფელი უზარმაზარ სივრცეზეა გაშლილი და მის ურცხვ ბილიკებზე მხოლოდ აქაურ მკვიდრს არ ექცევა მხარი. მებატონეთა საცხოვრებელი გლეხების საცხოვრებელშია არეული, და იმ დროს გარეგნობით ერთმანეთისაგან ვეღარც კი გაარჩევდა კაცი – ყველა ესენი უბრალო ფაცხები იყვნენ.

სამეგრელოს მართვა-გამგეობისათვის სახელდახლოდ შედგენილი იყო (იმერეთის მსგავსად) დუკრუსის კომისიის მიერ დებულემა, დამტკიცებული მეფის-ნაცვლის მიერ. ამ დებულების თანახმად ყოველ სოფელში უნდა ამოერჩიათ ხოლმე ხელოსანი გლეხებისაგან და მას ეკისრებოდა სოფლის სააპელაციო საქმე; მაგრამ ეს დაწესებულება აქ სრულიად გამოუსადეგარი გამოდგა. ხალხი მეტის-მეტად იყო დაბეჭავებული და არ შეეძლო თვითონ წაეყვანა თავის სოფლის საქმეები; მათ შორის არჩეულ ხელოსნებს ყურს არაეინ უგდებდა – არც ბატონები და არც თვით გლეხები. ჩვენც იძულებული ვავხდით დახმარებისათვის მივემართნა ადგილობრივ აზნაურებისათვის და მათთვის გვეთხოვნა დამდგარიყვნენ ხელოსნებად. გლეხები სიხარულით დათანხმდნენ ამასე და დაგვისახელეს საუკეთესო აზნაურთაგანნი; ესენი კი ჩვენ არ შეგვეძლო ძალით დაგვეყვებინა ხელოსნებად და დაეთანხმეთ იმით, რომ დავიპრდით განსაკუთრებულ ჯილდოს საერობო სამსახურისათვის. დავარქვით მოურავები, ე. ი. სოფლის მმართველები, ესენიც დახდნენ ხელოსნებად, და საქმე გაიწარხა. ყოველ სოფელში მათის საშუალებით გავაკეთეთ ის, რაც გვიინდოდა. და მოურავთა შორის მართლაც აღმოჩნდნენ ზოგნი მიხედვრეობი და რიგიანი ადამიანები, რომლებიც გულწრფელად მონდომებული იყვნენ დაკისრებული საქმე შეესრულებინათ.

ვალტერ შურდია:

„მხედრონელები“ ომის ვეტერანებთან გაიგივება და მათთვის პენსიების დანიშვნა დანაშაულია!

„მხედრონელები“ კიროვი ბულიც სასტიკად დასაჯა, ზვიადს რომ არ შეაგინა, საბრალოს ჯერ ერთი ხელი მოსჭრეს, მერე – მეორე, ხელებს ფეხები მიაყოლეს და ასე წამებით, ნელ-ნელა ამოჰხადეს სული. მხატვარი ვახტანგ ნოდია იმის გამო, რომ გამსახურდია დახატა, ასო-ასო აქნილი გამოვიდა ზანგის ზუგდიდში, გვამი ექიმებმაც კი ვერ ააწყვეს...

„ილორის“ რედაქციამ აღშოთებულ მოქალაქეთა წერილები მიიღო. მოგვმართავენ უსახსრობით სიცოცხლემოებურებული ომის ვეტერანები, აფხაზეთსა და სამხაბლოში დაღუპულ მებრძოლებს გადატანკებული ოჯახების წევრები. ისინი ხელი-სუფლებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შეღავათის გაუქმებაში ადანაშაულებენ. თავიანთ რისხვას ვერ მალავენ იმის გამოც, რომ „მხედრონელები“ ომის ვეტერანებთან გაიგივებს და სამეგრელოს ექვსე ზის ამწიოკებლებს, მმარცველებს, ყანალებსა და საღისტმეკვლელებს პენსიები დაუნიშნეს... ისტორია მეორდება – ილია ჭავჭავაძის მეკვლევი, გიგლა ბერბიჭაშვილიც ხომ სიცოცხლის ბოლომდე პენსიას იღებდა!

კობა აბრამიშვილი, ომის ვეტერანი (იბრძოდა აფხაზეთში), მეორე ჯგუფის ინვალიდი:

– 70 წლის კაცი ვარ, უბინაო, სოციალურად დაუცველი. ჩაის სამხედრო მათარაში ვიდუღებ, მაქვს 1 ჩანაჭლი, 1 კოვზი, 4 ჭიქა და ძველი ტახტი, რომელზეც მიინავს. სულ ეს არის ჩემი ქონება. სოციალური სამსახურის წარმომადგენლებმა რატომღაც 39 ქულა ჩამიწერეს, არადა სინამდვილეში 0 ქულა მეკუთვნის. ვერც გიგი უგულავამდე მივალწი და ვერც მამუკა ქაცარავამდე (სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი). ომში დაღუპულთა მემორიალთან ნინო ბურჯანაძეს შევხვდი. მინდოდა, მეთქვა, რომ მარტო გვირგვინის გასწორება და თავის ჩაქინდრა არ არის საქმე. იმ დაფაზე შეიძლება, ჩემი გვარიც ყოფილიყო ამოტიფორული... 7 საათის განმავლობაში დამხედრო ფორმით ბროლაში ავუქერაში მიპოვა და ძლივს მომასულიერა. ბურჯანაძესთან სიტყვის სათქმელადაც არ მიმიშვეს. 7 წელია, ვიყინები, სარდაფს ვითხოვ, ტანზე წყლის გადავლება მენატრება... სანამ ამ მთავრობას არ მოვიცილებთ, ჩემისთანა ხალხს არაფერი უშველება!

გოგი სიტიშვილი, ომის ვეტერანი (იბრძოდა სამხაბლოში):

– ყველანაირი შეღავათი გაგვიუქმეს, პენსია მინიმუმაც კი არ გვაქვს. მიტინგებზე დავედი, რათა ხმა აგვემძღვებინა უკანონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ. ცხოვრების საუკეთესო წლები სამხედრო ფორმით ბროლაში გავატარეთ, სამშობლოს წინაშე ვალი მოვიხადეთ, ნუთუ არანაირი შეღავათი არ გვეკუთვნის?! ეტყობა, ქვეყანა გაკოტრდა, ფინანსები ამოწურა! ამით აქციები არ უშველის... ისეთი ხალხი გაატარეს რეგისტრაციაში, აფხაზეთი და სამხაბლო თვალთაც არ უნახავთ! „მხედრონელებს“ ომის ვეტერანთა მოწმობები მისცეს და პენსიები დაუნიშნეს. ეს არის სამართალი?

ნინო კეკელიძე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპული რამაზ მღებრიშვილის დედა:

– მამაჩემი, მიხეილ კეკელიძე დიდი სამამულე ომის ვეტერანი იყო. ჩემი ერთადერთი მარჩენალი, ჩემი შვილიც, სამშობლოს შეეწირა. ვმუშაობდი ეკონომიკის სამინისტროში და როცა შტატების შემცირება დაიწყო, შუამდგომლობისათვის საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს მივმართე, რათა მესარგებლა კანონით გათვალისწინებული შეღავათით (მარჩენალდაკარგულები შტატების შემცირებისას სამუშაოზე დატოვების უფლებით სარგებლობენ). ვეტერანთა დეპარტამენტმა ხელზე მომცა წერილი, რომლითაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს, ბატონ ალექსი ალექსიშვილს სთხოვს, დახმარება გამიწიოს კანონის შესაბამისად, ამასთან, სამინისტროში სხვა

საბუთი გამოგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შეცდომით მომანიჭეს მარჩენალდაკარგულის კატეგორია. მოკლედ, ნუკრი ცაგარეიშვილისა (ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის უფროსი) და გია ბარამიძის (მისი მოადგილე) წყალობით უმუშევარი დავრჩი. იმის ნაცვლად, რომ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს დაღუპულ მებრძოთა ხსოვნის პატივცემად ჩვენი უფლებები დაეცვა, მცირედი ყურადღების ღირსიც არ გავგზავნა. როგორ ვაკადროთ შვილმკვდარმა დელებმა ჩვენს შავ თავსაფრებს, თორემ ვეგნი გასამართლების კი არა, ჩვენი ხელით დახვრეტის ღირსნი არიან!

ნაზო ფახურაძე, შვილმკვდარი, მარჩენალდაკარგული დედა:

– ერთადერთი შვილი მსხვერპლად შეეწირე სამშობლოს. მისი სიკვდილის მერე კიდევ უფრო შემეყრა ჯანმრთელობა. პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ, ონკოლოგიური ავადმყოფი. იმის გამო, რომ 2004 წელს ხელისუფლებამ ყველა შეღავათი გააუქმა, ტელეფონი სანახევროდ გაიმართლები მაქვს, გადასახადს ვერ ვიხდი. მითხრეს, უსინათლო უნდა იყო, შეღავათით რომ ისარგებლო. მივიტანე ცნობა, რომ მხედველობა დაქვეითებული მაქვს, არც ამან გაჭრა... პირველ ღელის, სანდრა რულოვს ვთხოვე დახმარება, რომელიც შემპირდა, ეტაპობრივად დაგიბრუნებდათ შეღავათებით, მაგრამ მას შემდეგ უკვე ერთი წელი გავიდა. ოპერაციის მერე უფასოდ მაძლევდნენ „ტამოქსიფენს“ (წამალი), ახლა ისიც წამართვეს...

ნუნუ უთურგაული, შვილმკვდარი, მარჩენალდაკარგული დედა: 2004 წლიდან შეღავათების მონეტიზაციის შემდეგ, მარჩენალდაკარგულები თვეში 44 ლარს ვიდებთ. სიკვდილის შემდეგ „გორგასლის ორდენით“ დაჯილდოებული მებრძოლების ოჯახებს თბილისის საკრებულო თვეში 200 ლარს აძლევდა, მაგრამ 2004 წელს ესეც გააუქმეს. რაც შეეხება სამედიცინო მომსახურებას, – ერთი ვეტერანთა პოსტიპულია. ექიმები ნამდვილად უანგაროდ გვემსახურებიან, მაგრამ წამლები, ბოდიშით!... არ გვაქვს პოლისები, არ ვიცით, რა უნდა ვქნათ, თუ ოპერაცია ან სხვა სახის სამედიცინო დახმარება დაგვჭირდა. ზოგიერთი დაღუპული მებრძოლის ოჯახს „გაუმართლა“ – სიღარიბის პროგრამაში მოხვდა. ჩვენ არ შეგვიყვანეს, რადგანაც სახლში ტელევიზორი, მაცივარი და სხვა საჭირო ნივთები აღმოგვანდა. ისეთი ოჯახებიც არიან, მარჩენალი სამშობლოს რომ შესწირეს და თვითონ უპატრონოდ ლოგინს არიან მიჯაჭვულნი. 2007 წლიდან ვითხოვთ, გადმოგვცენ ჩვენ მიერ შერჩეული არასაცხოვრებელი ფართი, რათა უმუშევრები დავსაქმდეთ და შემოსავლის წყარო გავინიშოთ. კოლექტიური წერილი გავუგზავნეთ პრეზიდენტს. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. აღნიშნული ფართი სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ჩვენთვის გადმოეცათ პირდაპირი მიყიდვის წესით, მაგრამ ეკონომიკის სამინისტრომ უარი გვითხრა, არც იჯარაზე დაგვთანხმდნენ, რადგანაც უკვე შეიტანეს აუქციონზე გასატან საპრივატიზაციო სიაში... აი, ასე „ზრუნავს“ სახელმწიფო მარჩენალდაკარგულებზე.

ვალტერ შურდია:

– ექვსე ზის დაღაშქრეს მხედრონელებმა სამეგრელო, ბიჭებს ქუნებში კლავდნენ, სასქესო ორგანოებს აჭრიდნენ, ტყვედ მიჰყავდათ და მათ გამოსახცილად ოქროს ნივთებს ითხოვდნენ... ერთი შემთხვევა გამახსენდა... მეზობლებმა და ნათესაებებმა შეგვროვეს რაც რომ ებადათ და „მხედრონელებს“ მიუტანეს, მათ კი მამას მეკვდარი შვილი გაატანეს. ერთ ოჯახს ფული მოსთხოვეს, კაცმა უთხრა, არა მაქვსო. მამის ქალიშვილი გაგიპატიურებო. მამაც გოგონას ღირსების დაცვა სცადა და მოკლეს. რომელი ერთი ჩამოვთვალაო, მოსახლეობას უმოწყალოდ ძარცვავდნენ...

– „მხედრონელების“ ომის ვეტერანებთან გაიგივებაზე რა აზრის ხართ?

– მათი გაიგივება ვეტერანებთან დანაშაულია. სამეგრელოს დაღაშქრებაში მთელი „მხედრონი“ მონაწილეობდა, ათასობით კაცზე საუბარი, მიუღი არმია იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, არც კი აღიარებენ

– რატომ გაუქმდა 1996 წელს მიღებული კანონი და შეღავათები? იბრძოლეთ თუ არა ომის ვეტერანთა და მარჩენალდაკარგულთა ინტერესების დასაცავად?

– ამ კითხვებზე საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის უფროსმა ნუკრი ცაგარეიშვილმა გვიპასუხა:

– ვეტერანთა დეპარტამენტი იმთავითვე წინააღმდეგი იყო კანონისა და შეღავათების გაუქმებისა, მაგრამ ჩვენ არავინ მოგვისმინა.

– ვის მიმართეთ?

– წერილები გავუგზავნეთ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს, მაგრამ ამაოდ.

– რატომ არ იბრძოლეთ ვეტერანთა ინტერესებისთვის?

– (საუბარში ჩაერთო ბატონი ჯანრი უბირია, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე) საქვეუწყებო ორგანიზაცია ვართ, ჯანდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებული, მათ თავზე ვერ გადავახტებით, ვერც საკანონმდებლო ინიციატივებით გამოვალთ და ვერც შესაბამის კომიტეტში დავიცავთ თავს.

– რატომ არ მიმართეთ ჯანდაცვის სამინისტროს?

– ვინ ვითხრათ, რომ არ მივმართეთ? ეს საკითხი არაერთხელ დაგვიყენებ ჯანდაცვის სამინისტროს წინაშე. შეხვედრებიც გვქონდა სხვადასხვა კომიტეტებში. 2005 წლის 23 დეკემბრის კანონში შეტანილი ცვლილებით, მართლაც, ძალიან ბევრი შეღავათი გაუქმდა. შესაბამისი რეაგირება მოვახდინეთ, ყველას მივმართეთ, ვისაც ეს საკითხი ეხებოდა, მაგრამ არც მოგვისმინეს.

– ახლა რას აკეთებთ, შეგვუთ და მარცხებას?

– ბროლას ვაგრძელებთ. ჯანდაცვის სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრი მეც ვარ. უკვე მოვაშაბადეთ კანონპროექტი, რომელიც განხილვას ექვემდებარება.

– ბატონო ნუკრი, ვეტერანები ჩივიან, ისეთი ხალხი გაატარეს რეგისტრაციაში, აფხაზეთი და სამხაბლო თვალთაც არ უნახავთ... რით იმართლებთ თავს?

– არ აქვს მინიშნულება, რა პერიოდში დაიღუპა ან დაიჭრა ადამიანი. თუ იგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას ემსახურებოდა ან ამ მიზეზით დაზარალდა, ომის ვეტერანის სტატუსი უნდა მიენიჭოს, ეს ჩვენი დეპარტამენტის წინადადებაა.

– ხალხი განრისხებულია იმის გამო, რომ „მხედრონელებს“ ომის ვეტერანის მოწმობები მიეცით და პენსიები დაუნიშნეთ.

– „მხედრონელებმა“ გარკვეული მსხვერპლი გაიღეს, ამიტომაც გადავწყვიტეთ, კომისია შეგვექმნა და ყველასათვის მიგვენიჭებინა ომში ნაომარი კაცის სტატუსი.

ვალტერ შურდია:

– ექვსე ზის დაღაშქრეს მხედრონელებმა სამეგრელო, ბიჭებს ქუნებში კლავდნენ, სასქესო ორგანოებს აჭრიდნენ, ტყვედ მიჰყავდათ და მათ გამოსახცილად ოქროს ნივთებს ითხოვდნენ... ერთი შემთხვევა გამახსენდა... მეზობლებმა და ნათესაებებმა შეგვროვეს რაც რომ ებადათ და „მხედრონელებს“ მიუტანეს, მათ კი მამას მეკვდარი შვილი გაატანეს. ერთ ოჯახს ფული მოსთხოვეს, კაცმა უთხრა, არა მაქვსო. მამის ქალიშვილი გაგიპატიურებო. მამაც გოგონას ღირსების დაცვა სცადა და მოკლეს. რომელი ერთი ჩამოვთვალაო, მოსახლეობას უმოწყალოდ ძარცვავდნენ...

– „მხედრონელების“ ომის ვეტერანებთან გაიგივებაზე რა აზრის ხართ?

– მათი გაიგივება ვეტერანებთან დანაშაულია. სამეგრელოს დაღაშქრებაში მთელი „მხედრონი“ მონაწილეობდა, ათასობით კაცზე საუბარი, მიუღი არმია იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, არც კი აღიარებენ

თავიანთ დანაშაულს... აფხაზეთის ტერიტორიაზე გამართული ზოგიერთ ბრძოლაში თავი დადებოდაც წარმოაჩინეს, მაგრამ იმ სირცხვილს, რაც სამეგრელოში ჭამეს, როგორ ჩამოირეცხავდნენ?

– მეგრელებს დღემდე ახსოვთ... ან რა დაავიწყებთ, როგორ აძრობდნენ ცოცხალადამიანებს ტყავს და ოქროს კბილებს, საღისტურად აწამებდნენ და აუთოებდნენ. აფხაზეთიდან მოპარული ჭადები და მანქანები მოჰქონდათ...

– ნორმალური ფსიქიკის მქონე ადამიანი ვერ დაიჯერებს, რასაც ისინი აკეთებდნენ... ჯემალ შამათაია „მხედრონელებმა“ სამტრედიის დაიჭრეს და აწამეს, მაგრამ მისგან საიდუმლოს „ამოქანავს“ კი არ ცდილობდნენ, გინდა თუ არა ზვიად გამსახურდიას შეაგინეთ, უკეთებდნენ. ნაწამები ჯემალი იხვეწებოდა, წყალი მაინც დასაღვინებო... იცით, რა უთხრეს?.. მოშარდე და დალიე, მუტის ღირსი არა ხარო... „მხედრონი“ სასტიკად დასაჯა კიროვი ბულიც იმის გამო, რომ ზვიადს არ შეაგინა, საბრალოს ჯერ ერთი ხელი მოსჭრეს, მერე – მეორე, ხელებს ფეხები მიაყოლეს და ასე წამებით, ნელ-ნელა ამოჰხადეს სული. მხატვარი ვახტანგ ნოდია იმის გამო, რომ გამსახურდია დახატა, ასო-ასო აქნილი გამოვიდა ზანგის ზუგდიდში, ექიმებმაც კი ვერ ააწყვეს გვამი. ნუთუ ამის მერე სირცხვილი არ არის, გმირების რანგში აიყვანო ყანალები და ომის ვეტერანთა გვერდით დააყენო? მე „მხედრონის“ შექმნევის ნამდვილი სახე ჯერ კიდევ 1989 წელს დავიანხე...

– სად და რა ვითარებაში?

– ვოვა ვეკუა, ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელი, მეორე მერაბ კოსტავა, 1989 წლის 15 თუ 16 ივლისს აფხაზეთში ცემით მოკლეს – დაღურსმული ფიცარი ურტყეს. ბატონ ვოვას დასაფლავებზე, სოხუმში, ჯაბამ ჩვენი ნახვა მოისურვა. მე და ზაურ ქობალიას ქალაქგარეთ, მენხერ ტყეში დაგვინიშნა შეხვედრა.

– რაზე ისაუბრეთ?

– „მხედრონი“ ვქმნიო, ვკითხრა. ეს ორგანიზაცია ეროვნული მოძრაობის უმთავრესი ძალა იქნება და თქვენც გაწევრიანდით... როგორ აპირებ ხალხის შეგროვებას-მეთქი, ვკითხე.

– რა გიპასუხათ?

– გახეთში განცხადებას გამოვაქვეყნებ და მსურველებს „მხედრონი“ გააწვრიანებო, მითხრა. კი მაგრამ, არასასურველი ხალხიც ხომ მოვაწვევებთ, შემოგზავნილებსაც რას უზამთ-მეთქი. ნუ გეშინია, მე მოვუვლიო. „მხედრონი“ გაწვევრანებაზე უარი რომ გუთხარით, ვეთხოვა, აქ მაინც დამეხმარეთ, სოხუმში რამე ავაფეთქოთ, მაგალითად, მწერალთა კავშირის შენობა... აი, „მხედრონის“ ღიღერის ნამდვილი სახე და მისი ორგანიზაციის სამოქმედო პრინციპები! კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სამეგრელოს ექვსე ზის ამწიოკებლების, მმარცველების, ყანალებისა და საღისტი მკვლელების გათანაბრება ომის ვეტერანებთან და მათთვის პენსიის დანიშვნა, დანაშაულის ტოლფასია.

ნინო გოძიაშვილი



ილორი

გაგრძელება

ბუბის გზით და იგი გააპრეზიდენტა; მაშინ, როცა ქართველებისათვის "მეორე ბიბლიად" აღიარებულ "ვეფხისტყაოსანში" პოეტი ამბობს: "კაცი არ ყველა სწორია, დიდი მეს კაცის კაცამდე!" შოთა როცა ამბობს "დიდი მეს", მხედველობაში ჰყავს მეფე – სახელმწიფოს მეთაური. ის უნდა იყოს ბრძენი, უხვი, მოწყალე, შეუპოვარი, თავდაბალი, სამართლიანი სიტყვის მოქმედი და შემსრულებელი, ფიცის მიმღები და არა გამტეხი, მომთხოვნი და მოკვირნახელე. მან იცის ჭირგადსული სიკეთის ფასი და ბრძოლით მოპოვებული ბედნიერების ღირებულება. სააკაშვილი ამ განზომილების ვერცერთ მუხლში ვერ ჯდება. მაშ, თავად განსახლებული, როგორი პრეზიდენტი ჰყავს ქვეყანას!

უკანასკნელ პერიოდში ლევან განიხილავს, დავით გამყრელიძისა და შს ყოფილი მინისტრის თარგამაძის შეხვედრამ ბერლინში ხელისუფლება ძალიან ააფორიაქა. განსაკუთრებით მაშინ, როცა განიხილავდა გასული "ალიაში" მშვიდად ასხნა ამ შეხვედრის მიხეობა. კერძოდ, მან განაცხადა: მაინტერესებდა, თავის დროზე, ნაციონალები და პირადად სააკაშვილი ვისგან ფინანსდებოდნენ. მათ ამ თემაზე საუბარი აფრთხილეს. თარგამაძის ფულით ოპოზიციის დაინტერესება კი სასაცილოდ მქვენება, რაც ნაციონალებმა კარგად იციან, მაგრამ მაინც ააფორეს სენსაცია. გოკა გაბაშვილმა ინტერპრესისათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ოპოზიციის ფულს ართმევს ყველაზე სახიფათო კრიმინალურ რუსულ წყაროს, რომ "ეს არის სრული სიმართლე რისთვისაც ოპოზიციას თვალის გასწორება მოუწევს". თან დასძინა: "განხილავს და გაზრდის კომენტარები დანაშაულზე წასწრებულ ქურდების კომენტარს ჰვასოს". ასეთი აუღებელი პასუხის გაცემა ცნობილი პოლიტიკოსებისადმი, მხოლოდ მისხიარი დაბალი გონების ადამიანს შეუძლია. თქვენზე ნათქვამი – "ქურდს ქულა ეწვიოს". განა თქვენ არ იყავით უფრო პარტიის განყოფილებაში, მილიონობით გრანტებს რომ იღებდით და ანაწილებდით? მესმის თქვენი მღელვარებისა, რადგან სწორედ კახა თარგამაძემ გაახმოვანა, თუ როგორ მოკლა მამათქვენმა ავტომობილს ჯერით ხობში ხელფეხს შეკრული, უმწყო მღვთმარეობაში მყოფი ახალგაზრდა კაცი. გვარად ბუღია. იმასაც შეგახსენებთ, რომ მკვლელობაზე ხანდახმულობა არ ვრცელდება და როცა ქვეყანაში სამართლიანობა აღსდგება, მაშინ ყველაფერზე ავტომ პასუხს. ასევე მინდა შეგახსენო პეტრე ცისკარიშვილს – ნაციონალების გენერალურ მდივანს, რომელმაც პანკისის ხეობიდან განაცხადა, რომ ამ ხეობაში კახა თარგამაძეს უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი. ნუთუ ახლა, 9 წლის შემდეგ გაგახსენდათ ეს დანაშაული, მაშინ, როცა თარგამაძემ თავად გამოხატა ნარკოტიკებით ვაჭრობაში, დაგაპატიმრათ და მხოლოდ ხელი-სუფლების ზემოქმედებით გაგანთავისუფლეს სპეცსამსახურებმა.

მართლაც უბედურია საქართველო, რადგან თქვენი ზნეობის ადამიანები გვიკითხავენ მორალს!

საკითხი დგას ასე – რა დადებითი და უარყოფითი შედეგები ჰქონდა ბერლინის შეხვედრას?

ვიდრე პასუხს გაცემდეთ, გადავხედოთ სა-

სწრაფად მოვიშორეთ სხვა ქვეყანაზე სულმიყიდული შინაური მტრები – გადავიჩინოთ თავი და გადავარჩინოთ საქართველო!

ქართველოს წარსულს და იმას, თუ როგორ იბრძოდნენ ერის რჩეული შვილები საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რომლებიც არაფერს არ ერიდებოდნენ. ისინი სხვადასხვა ქვეყნებში ხვდებოდნენ ხელი-სუფლების წარმომადგენლებს და ხანმარებას სთხოვდნენ მათ. 1915 წელს მიხაკო წერეთელი, ლეო კერესელიძე და გიორგი მანაბელი ბერლინში გერმანიის ხელისუფლებას წარმომადგენელს შეხვდნენ, ხოლო 1916 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილი სტოკჰოლმში შეხვდა გერმანიის წარმომადგენელს. წარსულში საქართველოს ბედი ხომ ხშირად მის ფარგლებს გარეთ წყდებოდა...

დღესაც იგივე მდგომარეობაა საქართველოში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თუ ადრე მხოლოდ გარეშე მტერთან გვიწვევდა ბრძოლა, დღეს ორ ფრონტზე უნდა ვიბრძოლოთ – როგორც შიდა, ასევე გარე მტრებთან. და თუ ქართველი ერი არ გამოფხიზლდა და დროულად არ დაიხსნა თავი სააკაშვილისგან, საქართველო მალე საერთოდ გაქრება მსოფლიოს პოლიტიკური რუქიდან. არა მარტო ოპოზიციური ძალები, არამედ ყველა ჭეშმარიტი ქართველი უნდა აღსდგეს ქვეყნის მტარვალისგან და სახსნელად, და თუ ეს საქართველოს სიკეთეს მიუტანს, თვით სატანასაც კი უნდა შეხვდნენ, ბერლინში იქნება ეს თუ კოსმოსში. სწორედ ამ განზრახვით შეხვდნენ თარგამაძეს ბერლინში განიხილავდა და გამყრელიძე. ჩემის აზრით ამ შეხვედრამ დადებითი შედეგი მოუტანა ქვეყანას. ჯერ ერთი, თარგამაძე ზღვა მაკომპრომენტირებელ ინფორმაციას ფლობს ნაციონალებზე. როგორც ჩემთვის უადრესად საპატივცემულო პიროვნებამ, "თეთრი მოძრაობის" ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა განაცხადა, თარგამაძეს მიხედოდა სააკაშვილისა და ტარიელ ონიანის ურთიერთობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ჰქონია, ასევე გააჩნია მასალები წინა და ახლანდელ პარლამენტარებზე... მან მაჩვენა რამდენიმე ქურდის საქმე, რომლის ვადაზე ადრე განთავისუფლებას ხელს აწერს სააკაშვილი... ცხონებულ პატარკაციშვილს ეკუთვნის სიტყვები: "კახა თარგამაძემ მითხრა, შენ ეს ხელისუფლება მოგვალავს!" მანვე გააფრთხილა ლევან განიხილავდა – შენს წინააღმდეგ ტერაქტს ამზადებენო. სხვა დანარჩენს კი განიხილავდა და გამყრელიძე თავად გაახმოვანებენ. ეს შეხვედრა საქართველოსათვის უდავოდ სასარგებლო იყო, ხელისუფლებისათვის კი კომპარო.

ხელაფეთ, ხალხნო, რა ხდება საქართველოში! ადამიანის უფლება და ღირსება შელახულია. ოპოზიცია ვინმეს რომ შეხვდეს, თურმე ხელისუფლების ნებართვით საჭირო. ისიც ფაქტია, რომ პუტინი აქტიურად მუშაობს მისხსათვის სკამის შესანარჩუნებლად. ნუთუ ძირძველ ქართველს კახა თარგამაძეს უფლება არა აქვს, რომ ამ და სხვა სახელისუფლებო შავ-ბნელ საქმეებზე ინფორმაცია მიაწოდოს ოპოზიციას? რა, მხოლოდ სომხებს სააკაშვილსა და ბუჟუშვილს აქვთ საქართველოს აგარბზე საუბრის უფლება? იმ ბუჟუშვილს, რომელსაც საქართველოდან

მიტაცებული ქონებით მარშლის კუნძულებზე აქვს ბიზნესი გაშლილი?

საკაშვილო, შეგახსენებთ ერევანში ვიზიტისას თქვენს მიერ წარმოთქმულ სიტყვებს: "ეს არის იმის დასტური, რომ ჩვენთან არსებობს შიდა პოლიტიკა, სადაც ყველა ერთმანეთს გახსნილად და მშვიდად ვესაუბრებით..."

საინტერესოა, როდის და გაცივდეთ ასეთი მეტამორფოზა, როცა "მშვიდად საუბარს" ახსენებთ? ამიტომ, კიდევ ერთხელ წარმოვიდგინო ამონარიდს გახეობით "ლიტერატურული საქართველო", რომელიც 2004 წლის 7-13 მაისის ნომერში გამოქვეყნდა: "ზოგი თქვენი გადაწყვეტილება იდუმალებით არის მოხილი. დღემდე უცნობია საზოგადოებისათვის აშშ-ში ყოფნის დროს სომხური ლობის წარმომადგენლებთან თქვენი კონსპირაციული შეხვედრის შინაარსი (ეს ფაქტი დადასტურა სომხურმა გაგვლიანმა საინფორმაციო სააგენტომ "ნოიან ტაპანი")". რა გქონდათ დასამალი, ამ შეხვედრაზე უკონფიდენსიულობა რომ არ იახლებო? ამ საკითხთან დაკავშირებით სამჯერ მოგწერეთ, როგორც ამომრჩეველმა, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. თქვენ კი იმაზე ატყუებ განგაში, განიხილავდა და გამყრელიძე რატომ შეხვდნენ თარგამაძეს. მაგრამ თქვენი შეხვედრა სომხურ ლობთან და მათი შეხვედრა თარგამაძესთან, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თქვენს შეხვედრას მიძიმე შედეგი მოჰყვა საქართველოსათვის. კერძოდ, გააქტიურდა ჯავახეთში მცხოვრები სომხური მოსახლეობა, მათ დარბივს უნივერსიტეტი, ქართული კულტურის ძეგლები, ქართული ეკლესია, სასამართლო, მოითხოვენ საქართველოს ტერიტორიაზე ავტონომია, სომხური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება და კიდევ რას მოითხოვენ, ეშმაკმა უწყის. ამ სკანდალური აქციის გამო არცერთი დამნაშავე არ დაგისჯიან წერილობითი ხელმოწერის მუხლითაც კი. სამაგიეროდ, თქვენ "გახსნილად ვსაუბრობთ" ქართველებს, მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს, რომლებიც 2009 წლის 6 და 15 ივნისს დაარბიეთ ხელკეტებით, რეზინის ტყვიების გამოყენებით, დასახინრეთ ადამიანები, დაინგალიდეთ, თვალეზი დათხარეთ, თავზე წყლით სავსე პარკები დაეყარათ და ამ ბარბაროსობისათვის არავინ მიგიციან პასუხისგებაში. ნაცვლად მონანიებისა, ჯიუტად იმეორებთ, არ გადავწყვიტოთ. კარგად მიხედ-მოიხედეთ – დაგრჩათ კიდევ რამე დაუნგრეველი?

ასევე წერილობით პასუხს ვითხოვდი თქვენგან 2004 წლის 2-12 აპრილს გახეთ "ქოში" გამოქვეყნებულ წერილებზე, სადაც საუბარია "ზინონიკებისა და დემუტატების მიერ გაბარცვულ ბიუჯეტზე, იმაზე, რომ 2004 წლამდე მოპარულმა თანხამ 104.328.642 ლარს მიაღწია, და რომ ამ სიას სათავეში სააკაშვილი ედგა, რომელმაც მითითება აღნიშნული თანხა." მე ვითხოვდი სააკაშვილს, რომ თავი ემართლებინა ქართველი ხალხის წინაშე, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. და თუ ეს ცილისწამებაა, მაშინ კორესპონდენტის ავტორმა პასუხი უნდა აგოს სახამართლოს წესით. რახან არ გამოუმხმარეთ, მაშინ უფლება მაქვს ვიფიქრო, რომ გახეობის კორე-

სპონდენცია სავსებით შეესაბამება სიმართლეს.

ხალხს აინტერესებს თქვენი შეხვედრის მიხეობა წინეთში კანონიერ ქურდ ტარიელ ონიანთან ამის თაობაზე მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ე.წ. "ვარდების რევოლუცია" დაფინანსდა ონიანის ფულით. ყველა თქვენი კონსპირაციული შეხვედრის აღწერას ერთი წიგნი არ ეყოფა...

შექპირის სიტყვები მინდა შეგახსენოთ: "ბევრი რამ ხდება პორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიმბრადაც არ მოვლანდებთ". დიახ, ბატონებო! მთელი საქართველოს გასაცონად ვამბობ: რა საშინელება ხდება საქართველოში – იტყვენ მსოფლიო დონის მეცნიერ თურისტს, თურედულ მეცნიერებთანა დოქტორს, პროფესორ ვლადიმერ ვახანიას. იგი ხომ დატყუროდა მისი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო, რაც წარმოუდგენელი საშინელებაა თვით დაბალგანვითარებული ქვეყნისთვისაც კი. მეცნიერ ადამიანს ზუგდიდში, მამისეულ სახლში თავს დაესხა 200 ნიღაბმორგებული, კბილებამდე შეიარაღებული სპეცრაზმელი, რაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. დამსახურებულ ადამიანს დამამცირებლად მოექცნენ, დაადეს ხელბორკილი, მიწაზე დააგდეს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ნივთმტკიცებდა კი ავტომობილ და ხელეუბნარა ჩაუდეს. ცინიზმი და წრესგადასული თავხედობა განა სხვა რამეა? სამწუხაროა, რომ ამასზე ხალხი სდუმს. ამით ხომ საქართველოს გადაგვარებულ-გადაჯიშებული ხელი-სუფლება ებრძვის არა მხოლოდ ვახანიას, არამედ მთლიანად ქართულ კულტურას და მეცნიერებას...

საკაშვილი პირადი მიხნებისათვის იყენებს მონურ მორჩილებას, მათ მყოფ ძალოვან სტრუქტურებს. მას შეუძლია დააპატიმროს ოპოზიციის ლიდერები, მათი ოჯახის წევრები, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები, მაგრამ რეჟოლუციის ტალღას ვერ შეაჩერებენ, რომელსაც დროის გასვლასთან ერთად სულ უფრო და უფრო ემატება მუხტები. თქვენმა ახალმა ჩანაფიქრმა, მიტინგებისა და დემონსტრაციების წინააღმდეგ ახალი კანონის მიღების თაობაზე, ახალი უკუდარტემა გამოიწვია – ამას წინათ ურიდებულად გაფორმდა სახალხო მოძრაობა, სადაც ერთიანდებ ქვეყნის ყველა პროგრესული ძალა. სასაცილოა ის, რომ ნაციონალთა დამართხალი "ტრუბადურები", დემაგოგები კუბლაშვილი, გაბაშვილი და სხვები ამ გაერთიანების ერთ-ერთ ორგანიზატორად და დამფინანსებლად კახა თარგამაძეს მოიაზრებენ. დროა სხვაგვარად იფიქროთ, რადგან პროგრესსა და აზროვნებაში საკმაოდ ჩამორჩებით ქართველ ხალხს. არც შალვა ნათელაშვილის სიტყვებია უაღვრებელსაყოფი: "სად იყურება მსოფლიო ფსიქიატრია, ასეთი პაციენტი მეთვალყურეობის გარეშე რომ ჰყავთ დატოვებული".

როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად ფორდი აირჩიეს, მისი რამდენიმე წინაპრის ფსიქიურ მდგომარეობაზე შეგროვეს ცნობები. ბატონო მიხეილ, არა მგონია, თქვენ ამგვარ გამოცდას გაუძლოთ!

გიორგი (გონი ცაავა)
საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი

პატომის კრატერის საიდუმლოება

ყველაზე გასაოცარი წინ გველოდა – ნეპრიახინების ქოხში სრული სიცარიელე დაგვხვდა. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს მასპინძლებმა საცხოვრებელი მომენტალურად მიატოვეს.

ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ქოხის კართან, გვერდზე, ფარდულში და ეზოში ნაჯახები იყო მიტოვებული. ციმბრში, სადაც ცეცხლსასროლ იარაღზე მეტად ნაჯახი შეიძლება გამოვადგეს, მათ ასე არავინ ტოვებს – თუ სადმე მიდიან, ყოველთვის თან მიაქვთ. ასე იყო თუ ისე, ნეპრიახინების ასავალ-დასავალი ჩვენთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა.

ბანაკში დაბრუნებისას შევიტყვეთ, რომ მეცნიერებმა საბოლოოდ თქვეს უარი ურანის საბადოებში თვითწარმოქმნილი ჯაჭვიური რეაქციის შედეგად მომხდარი აფეთქების თეორიაზე.

– სერიოზულად მხოლოდ ორი – მეტეორიტული და ვულკანური ვერსიის განხილვა შეიძლება, – განაცხადა პროფესორმა ანტონიძემ, – მაგრამ პრობლემა ისაა, რომ კრატერზე ვერავითარი მეტეორიტული

ნივთიერება ვერ აღმოვაჩინეთ. რაც შეეხება ვულკანებს, დაახლოებით ათასი კილომეტრის რადიუსში ჩამქრალი ვულკანიც კი არ გვხვდება. რაიონი აბსოლუტურად არავულკანურადაა მიხნეული. არადა კრატერი აშკარად ახალია – ქვის ზედა ფენებმა გამომწობა და ხაჯისი მოკიდებაც კი ვერ მოახწო. მისი ასაკი მე დაახლოებით 100-500 წელი მგონია.

სერიოზულ მეცნიერებს ტუნგუსკის მეტეორიტზე საუბარი არ უყვართ – ამ მოვლენის გარშემო ძალიან ბევრი მითქმამოთქმა და დღევანდა არსებობს.

მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი ლოგიკურად ემთხვევა. დაუშვათ, ტუნგუსკის მეტეორიტი ირკუტსკში კი არა, კრასნოიარსკის მხარეში ჩამოვარდა. მაგრამ იგი იქ ხომ ვერ იპოვეს! დაცემის სავარაუდო ადგილიდან პატომის კრატერამდე 700 კმ-ია. 70 კმ/წმ სიჩქარით მფრინავი ბოლიდისთვის ეს დაახლოებით 10-15 წამის საფრენი მანძილია. იქნებ პატომის კრატერი სწორედ ტუნგუსკის მეტეორიტის მიერ დატოვებული ღრმულია? ასაკიც ზუსტად ემთხვევა.

შემთხვევა ტუნგუსკაზე 1908 წელს მოხდა. ჩვენი გეოლოგებიც ასე აფასებენ კრატერის ასაკს. ნუთუ ჩვენ ის ვიპოვეთ?

სამწუხაროდ, ტუნგუსკის მეტეორიტის ვერსიამ ჩაილურის წყალი დალია. როცა დენდროლოგებმა კრატერის მწვერვალზე ბოლო ფოტოები რომ მოხერხეს, მათმა ასაკმა 250 წელი შეადგინა.

თუ კრატერი მართლაც მეტეორიტმა წარმოქმნა, ეს სხვა მეტეორიტი ყოფილა.

რა დევს კრატერქვეშ?

«ცეცხლოვანი არწივის ბუდის» ზუსტი ასაკი მოგვიანებით ირკუტსკში გაივლიდა. ახლა კი მეცნიერებს მთავარი საკითხი ჰქონდათ გადასატრევი – უნდა გამოეკვლიათ, რა დევს კრატერის ქვეშ, სიღრმეში.

პროფესორი ალექსანდრე დმიტრიევი:

– პროტონული მაგნიტომეტრით გაზომვა ყველაზე პრემიტიული საშუალებაა რკინის მადნის აღმოჩენად. თუ ნიადაგში რკინის შემცველი ქანები მოიპოვება, იმ ადგილას მაგნიტური ველის დაბაბულობა მატულობს. ძალიან გააუმჯობესდა, რომ კრატერი რკინის მადნისგან თავისუფალ ნიადაგზე დგას. და

თუ კრატერზე მაგნიტური ველი უფრო მეტი იქნება, ვიდრე მის შემოგარენში, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მის ქვეშ მართლაც დევს რაღაც, რომელიც რკინას ან სხვა ფერომაგნეტიკებს, მაგალითად, ურანს შეიცავს. მაგნიტურ გაზომვას მთელი დღე მოუწევდა. ყოველ 10 მეტრში ენერდობლით და გზომავდით. ამაზე მოსაწყენი სამუშაო ძნელი წარმოსადგენია. სამაგიეროდ, ორმაგად დამიტრევიდა ვაშაშაშე უარის თქმის შემდეგ თავის ნოუთ-ბუქზე ცოტა წაიჯადოქრა და შემდეგ განაცხადა:

– არ ვიცი, მეტეორიტია, თუ კოსმოსური ხომალდი, მაგრამ აშკარაა, რომ კრატერის ქვეშ რაღაც არის და ეს რაღაც ამ ადგილებისთვის ანომალიურად მაღალი რაოდენობით რკინას ან სხვა ფერომაგნეტიკებს შეიცავს.

მაგნიტომეტრის მონაცემებმა აჩვენა, რომ ეს რაღაც 100-150 მეტრის სიღრმეზე დევს და მაგნიტურ ველს იმდენად ცვლის, რომ ხელსაწყოები ცვლილებებს ორჯერ უფრო

გაზეთი "ილორი" შექმნა რეზიკას "მსოფლიოს საშპეტისო ფეხბურთელები" გაზეთი "ილორი" შექმნა რეზიკას "მსოფლიოს საშპეტისო ფეხბურთელები"

ფერენც პუშკაში (სასიკვდილო მარცხენა)

ფერენც პუშკაში დღევანდელ... მთამაშედ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. მისი სახელი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, დაკავშირებული იყო ფეხბურთის იმ უნგრულ ჯადოქრებთან, რომლებიც მე-20 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში დომინირებდნენ მსოფლიო ფეხბურთში, თუმცა, უნგრეთის "დიდმა გუნდმა" მანც ვერ მოახერხა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

თამაშობდნენ მეკარე დიულა გროშინი, მარჯვენა ნახევარმცველი იოჟეფ ბოუკი, მარცხენა ნახევარმცველი შანდორ კოშინი, შანდორ პიდეკუტი და თავად ფერენც პუშკაში, არ ჰქვდა თავისი ბადალი მეტოქე და უნგრელები ყველას "ანადგურებდნენ".

1952 წელს უნგრეთის ნაკრები გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ხოლო ერთი წლის შემდეგ, მათ "უემბლზე" მართლაც გაანადგურეს ინგლისის ნაკრები ანგარიშით 6:3. ეს იყო ევროპელებისაგან განცდილი ინგლისელთა პირველი მარცხი საკუთარ მოედანზე. შემდეგ კი უნგრელებმა უკვე ბუდაპეშტში მოუგეს ინგლისელებს ანგარიშით 7:1. 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე შვეიცარიაში უნგრელებს ბევრი სპეციალისტი მიიწვევდა უდავო ფაფორიტად, მაგრამ სერიოზული პრობლემები შეექმნა პუშკაშს, რადგან ჩემპიონატის დაწყებისთანავე მან მიიღო სერიოზული ტრავმა გერს-გუნდთან მატჩში და იგი გათამაშებებს გამოეთიშა. პუშკაში მხოლოდ ფინალურ მატჩში გამოვიდა მოედანზე და უნგრეთის გუნდი მატჩის მეათე წუთზე იგებდა კიდევ თამაშს ანგარიშით 2:0, მაგრამ შემდეგ თავი იჩინა გერმანულმა წინსწარფამ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა მატჩი ანგარიშით 3:2 მოიგო და მსოფლიო ჩემპიონიც გახდა.

ლაუმარცხებული სერია მსოფლიო ჩემპიონატზე, წააგეს რა მათთვის უმნიშვნელოვანესი მატჩი. 8 წლის შემდეგ პუშკაშმა ისევ მიიღო მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატზე.

1962 წელს, ჩილეში, იგი უკვე ესპანეთის ნაკრების ღირსებას იცავდა, რადგან სოციალისტურ სისტემას გაექცა და ესპანეთს შეაფარა თავი. იგი მადრიდის "რეალის" გუნდის თავდამსხმელი გახდა. პუშკაში 1956 წელს წავიდა უნგრეთიდან, როცა მის სამშობლოში რევოლუცია მოხდა და საბჭოთა კავშირმა ტანკებით ჩაახშო აჯანყება, რასაც მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. ამ დროს ბუდაპეშტის "ჰონვედი" გავლით მატჩებს ატარებდა საზღვარგარეთ და პუშკაშმა და კიდევ რამდენიმე უნგრელმა ფეხბურთელმა უარი განაცხადეს სამშობლოში დაბრუნებაზე. იგი ჯერ იტალიაში აპირებდა საფეხბურთო კარიერის გაგრძელებას, მაგრამ ასაკის გამო უარი უთხრეს, რაც დიდი შეცდომა იყო. "რეალში" თამაშის განმავლობაში პუშკაში ოთხჯერ გახდა ესპანეთის საუკეთესო ბომბარდირი.

რესად წარმატებული საფეხბურთო კარიერა დაასრულა 1966 წელს. შემდეგ მან სამწვრთნელო ასპარეზზე გააგრძელა მოღვაწეობა, სადაც ისეთივე წარმატებული ვერ იყო, როგორც ფეხბურთის მოედანზე. თუმცა, მან გარკვეულ შედეგს მიაღწია 1970-1971 წლის სეზონზე, როცა მან ათენის "პანათინაიკოსი" ჩემპიონთა თასის ფინალში გაიყვანა. "პერესტროიკის" პერიოდში ფერენც პუშკაში უნგრეთში დაბრუნდა, სადაც მას ისე შეხვდნენ, როგორც ეროვნულ გმირს. იგი ამას უდავოდ იმსახურებდა, რადგან უნგრეთის ნაკრების შემადგენლობაში თამაშის დროს მან 83 ბურთი გაიტანა 84 მატჩში, რაც დღესაც კი მაღალი შედეგია. სწორედ ამიტომ გახლდათ ფერენც პუშკაში მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა.

თამაშების ფინალში მათ იუგოსლაველები დაამარცხეს და ჩემპიონები გახდნენ. უნგრელებს 4 წლის განმავლობაში მარცხი არ უწევიათ, წააგეს მხოლოდ გერმანიის ნაკრებთან, რაც საბედისწერო აღმოჩნდა უნგრეთისთვის, რადგან მათ დაკარგეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

1958 წელს პუშკაში მადრიდის "რეალში" ჩაირიცხა, რომელსაც "ჰონვედის" ყოფილი მწვრთნელი ესტრანიერი წვრთნიდა.

მონაწილეობდა 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ესპანეთის სახელით.

1966 წელს დაასრულა საფეხბურთო კარიერა.

1993 წელს დროებით დაინიშნა უნგრეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელად, რომელსაც თავაკაცობდა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

გიორგი ჯალაღანია



იამორო

- სვანი თევზის მალაზიაში შედის:
- მეგობარო, ერთი ის დიდი თევზი მესროლე!
გამყიდველი:
- როგორ გეკადრებათ, პარკით მოგართმევთ, ბატონო!
- არა, მესროლე, სახლში მივალ და დაგიფიცებ, რომ დაგიჭირე...

- ნაცნობი ეუბნება ნაცნობს:
- შენსკენ რა არის ახალი?
- გავიგე, თურმე ცოლი მდღაბატობს!
- მე გვეითხები - ახალი რა არის-მეთქი!
- მთვრალი კაცი დობესთან დგას და აქეთ-იქით ქანაობს.
- სიარული შეგიძლიათ? - ეკითხება პოლიციელი.
- სიარული არა, დალევა - კი...

- მამა, გაიგე? არაფი გაპიერებულია, ალბათ, სმას მოუკლებ!
- არა მგონია, ალბათ, შენ და დედაშენს მოგიწევთ, რომ ჭამას მოუკლოთ!
კამიკაძე მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს:
- ისწავლეთ, თორემ ხვალ კი აღარ ვიქნები...

სიჭმრების ასსნა დანიულ წინასწარმეცყვლის მიერ

- გაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას "ეგრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიჭმრების ასსნა დანიელ წინასწარმეცყველის მიერ.
- დამწვარი ხალხი თუ ნახოთ - ოჯახის უფროსი გარდაიცვალოს;
- დაქორწინება ნახო - მწუხარების ნიშანია;
- დარბაზი ნახო, ანუ აშენება - ძალიან კარგია, გაბედნიერება არის და ცოლის შერთვა;
- დარბაზი დაიკეტოს - მდიდარი ვინმე შეძლებიდან დაიცვალოს;

პატომის კრატერის საიდუმლოება

უფრო სწრაფად დაიწყეს ზრდა. ნუთუ აქაც იგივე მოხდა? რამ გამოიწვია ბირთვული რეაქცია? რადიოაქტიურმა მეტეორიტმა? თუ ბირთვულ საწვავზე მომუშავე უცხოპლანეტელთა ხომალდმა? ეს, სამწუხაროდ, დანამდვილებით ჯერ არავინ იცის.
მესამე ექსპედიციაზე მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებთან ერთად წამოგვეყა კერძო ორგანიზაციის „ირკუტსკის ელექტროსადაზვერულო საწარმო“-ს პრეზიდენტი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე პოსპევი, რომელმაც ამ ყველაფრიდან საერთო დასკვნა ჩამოკეთდა:
- ახლა დანამდვილებით შემიძლია ვითხრაო, რომ ჩვენ კრატერის ქვეშ დიდი სამგანზომილებიანი ობიექტი აღმოვაჩინეთ, რომელიც მაღალი ელექტროგამტარობით ხასიათდება. ფორმით ელიფსოიდს ან ცილინდრს წაგავს, რომელიც წვეროვ დაახლოებით 100 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. სიღრმეში დაახლოებით 600-700 მეტრზე ეშვება. მონაცემების მიხედვით, იგი არც რკინისგან და არც რომელიმე სხვა, კაცობრიობისთვის აქამდე ნაცნობი ლითონისგან შედგება. მაგრამ იქ რომ რაღაც ნამდვილად, ეს ფაქტია.
სამომავლო გეგმები - მანც ამოეთხრით!
უახლოეს მომავალში კრატერზე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი ექსპედიცია გაემგზავრება. მისი მიზანია, კრატერის გარშემო გათხრების წარმოება და როგორმე მის შუაგულში გაჭედდეს ობიექტამდე მიღწევა. იმედია, ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის და იდუმალი პატომის კრატერი თავისი საიდუმლოს ამოხსნის საშუალებას მოგვეცემს.

ანდრე მისიენკო, „კომსომოლკაი პრავდა“. თარგმნა ლექსო ლეკიაშვილმა

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უეისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე
რედაქციის მისამართია: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ. №01018002930
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: ღვინტი ქობალაია
ტექნიკური რედაქტორი: მისიელ ჩოლოყიშვილი
anaklia@web.de
e-mail:elisabetthal@yahoo.de
ჩაქალაქის განთავსება
899-57-33-22
72-37-35
38-41-97